პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 148 (19889) შაბათი, 27 ივნისი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

გუშინ მოსკოვში მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის' მოხსენება „პარტიის ამოცანები ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის საქმეში".

პლენუმმა განხილული საკითხის გამო მიიღო ვრცელი დადგენილება.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1987 წლის 26 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გრძელდებოდა განხილვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებისა „პარტიის ამოცანები ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის საქმეში".

კამათში გამოვიდნენ: ამხანაგები ი. ფ. სოლოვიოვი — სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ბ. ი. გოსტევი — სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი, ი. ი. ლოგოვი — უდმურტეთის ასსრ დ. თ. უსტინოვის სახელობის საწარმოო გაერთიანება „იჟმაშკანი" პარტკომის მდივანი, ა. პ. ფილატოვი — სკკპ ნოვოსიბირსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ლ. ა. ვორონინი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახმომარაგების თავმჯდომარე, ბ. მ. ვოლოდინი — სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, კ. ბ. ვაინო — ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ი. კოლესნიკოვი — უკრაინის სსრ საწარმოო გაერთიანება „კრასნოდონქვანახშირის" „მოლოდოგვარდეისკაიას" შახტის მაღაროელთა კომკლუბის ბრიგადის ბრიგადირი, ა. ა. ხომიაკოვი — სკკპ სარატოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ნ. ს. კონარევი — სსრ კავშირის გზათა მინისტრი, ნ. ნ. ჭერბაკოვა — მოსკოვის ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის ბამბეულის კომბინატის „ტრიოხგორნაია მანუფაქტურის" მძსოველი, ს. ა. შალაევი — საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე, პ. ს. ფედირკო—სკკპ კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. დ. ლიზიჩოვი — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, ი. ს. გელოუსოვი — სსრ კავშირის გემთსაშენებელი მრეწველობის მინისტრი, მ. ი. კლეპიკოვი — კრასნოდარის მხარის უსტ-ლაბინსკის რაიონის კოლმეურნეობა „უუბანის" ბრიგადირი.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა.

პლენუმმა განხილული საკითხის გამო მიიღო ვრცელი დადგენილება, რომელიც პრესაში ქვეყნდება.

პლენუმმა დაამტკიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ წარმოდგენილი „ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის ძირითადი დებულებანი".

პლენუმმა მოიწონა საყოველთაო-სახალხო განხილვის გათვალისწინებით გადამუშავებული სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაავალა იგი შეიტანოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად.

პლენუმზე მიღებულია გადაწყვეტილება სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის მოიწვიონ 1988 წლის 28 ივნისს ქალაქ მოსკოვში კრემლის ყრილობათა სასახლეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები. პლენუმმა ამხანაგები ა. ნ. იაკოვლევი და ნ. ნ. სლიუნკოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობიდან გადაიყვანა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებად.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. პ. ნიკონოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად აირჩია.

პლენუმმა ამხ. დ. ტ. იაზოვი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატობიდან გადაიყვანა ცენტრალური კომიტეტის წევრად და აირჩია იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად.

პლენუმმა ამხ. ს. ლ. სოკოლოვი გაათავისუფლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლის გამო.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატობიდან ცენტრალური კომიტეტის წევრებად გადაიყვანა ამხანაგები ლ. დ. ბრიზგა — ბელორუსიის სსრ კოლმეურნეობა-კომბინატის „ილიჩის ხსოვნის" მანქანური წველის ოპერატორი, ნ. ა. კავლოვი — ტიუმენის ოლქის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის ნავთობგაზის მომპოვებელი სამმართველოს „სურგუტნავთობის" ოპერატორი.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გამოიყვანა ამხ. დ. ა. კუნაევი უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად ყოფნის დროს რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის საქმეში პარტიის ამოცანების შესახებ

1. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მოისმინა და განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება „პარტიის ამოცანები ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის საქმეში", აღნიშნავს, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის, გარდაქმნისათვის გამოზნული სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის, XXVII ყრილობის კურსის თანამიმდევრული განხორციელება დიდ ზეიმქმედებას ახდენს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროზე. მისი დემოკრატიზაციის გზაზე დიდი ნიშანსვეტი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმი. საბჭოთა ხალხმა მთლიანად დაუჭირა მხარი და სულ უფრო აქტიურად ებმება ფართო მასშტაბის გარდაქმნათა პროცესში.

პლენუმი იწონებს გარდაქმნის კურსის განხორციელებისათვის გამიზნულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პოლიტიკურ და პრაქტიკულ საქმიანობას და გვავალებს განუხრელად განვაგრძოთ პარტიული ყრილობის სტრატეგიული გზა ხალხის ინტერესებისათვის, სოციალიზმის საქმის განმტკიცებისათვის, სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავებისათვის.

2. პლენუმი აღნიშნავს, რომ ახლა, როცა პარტიასა და ქვეყანას დაუდგა გარდაქმნის ყველაზე პასუხსაგები პერიოდი — პრაქტიკულ საქმეთა პერიოდი — მთავარი ის არის, რომ ყოველნაირად დავაჩქაროთ გარდაქმნის ტემპი, სიმძიმის ცენტრი გადავიტანოთ საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა მიმართულებით გულმოდგინე და მიზანმიმართული ორგანიზატორული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გაშლაზე.

პლენუმი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ პარტიის, თითოეული პარტიული ორგანიზაციის, თითოეული კომუნისტის მთელი მუშაობა ექვემდებარებოდეს გარდაქმნის გაღრმავებას, მისი დადებითი შედეგების დამკვიდრებას, ყოველივე იმის წინ წაწევას და განვითარებას, რაც შესაძლებლობას მოგვცემს სწრაფად ავიცილოთ თავიდან მოდუნების მოვლენები, პრაქტიკულად ავამოქმედოთ დაჩქარების საიმედო და ქმედითი მექანიზმი.

პლენუმს საჭიროდ მიაჩნია უფრო აქტიურად და თანამიმდევრულად განვახორციელოთ საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციის გეზი, ეს მივიჩნიოთ გარდაქმნაში მშრომელთა ფართო მასების უშუალო ჩაბმის მთავარ პირობად, განახლების პროცესის შეუქცევადობის გარანტიად.

3. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ გარდაქმნის საკვანძო ამოცანა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების უმნიშვნელოვანესი პირობაა ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმა. აქ წინა პლანზე დგება ახალი მთლიანი სისტემის შექმნა, რომელმაც გამარჯვოლუციურებელი ზეგავლენა უნდა მოახდინოს საბჭოთა ადამიანების შრომისა და ცხოვრების ყველა მხარეზე, სოციალიზმს მიანიჭოს ახალი თვისება, აიყვანოს იგი განვითარების ახალ საფეხურზე.

პლენუმი იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებულ ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის ძირითად მიმართულებებს, მისი განხორციელების მიზნებსა და პრინციპებს. მართვის მთლიან სისტემაზე გადასვლამ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის განვითარების რეალური დაჩქარება, მიანიჭოს მას ახალი დინამიზმი და ხარისხი, დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნილებანი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა მაქსიმალური გამოყენების, გონივრული სოციალისტური ბუნებათსარგებლობის უზრუნველყოფის მეშვეობით, მტკიცე გადასვლა, ყველა დონეზე ხელმძღვანელობის უპირატესად ადმინისტრაციული მეთოდებიდან უპირატესად ეკონომიკურ მეთოდებზე, ადამიანის ფაქტორის ყოველმხრივი გააქტიურება.

დამტკიცდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ წარმოდგენილი „ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის ძირითადი დებულებანი".

მოწონებულ იქნეს საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების გათვალისწინებით დამუშავებული სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განსახილველად წარუდგინოს იგი სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს.

4. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ მართვის რადიკალური გარდაქმნა ახლებურად სვამს სოციალისტური ეკონომიკის ხელმძღვანელობაში დემოკრატიული ცენტრალიზმის გამოყენების საკითხს, ახალ მოთხოვნებს უყენებს ეკონომიკის მართვის ცენტრალური ორგანოების საქმიანობას. მათ უნდა უზრუნველყონ სოციალურ-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების საერთო-სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელება, ეკონომიკის სრული და საიმედო შეწონასწორება, საწარმოთა და გაერთიანებათა ეფექტიანი მეურნეობრიობის საჭირო წანამძღვრების შექმნა მათი სამეურნეო დამოუკიდებლობისა და შრომითი კოლექტივების თვითმმართველობის პირობებში და ამ საფუძველზე საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

პლენუმი ძირითადად იწონებს დადგენილებათა პროექტებს, რომლებიც ეხება მართვის ცენტრალური, რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის, დაგეგმვის სისტემის გარდაქმნას, რადიკალური საფინანსო-საკრედიტო რეფორმის, ფასწარმოქმნის რეფორმისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გარდაქმნის განხორციელებას, და სხვა ნორმატიულ აქტებს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავალებს მიიღოს ისინი ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე განხილვის გათვალისწინებით.

5. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახლა განსაკუთრებით საჭირო და აუცილებელია გავაძლიეროთ პარტიული გავლენა გარდაქმნის ყველა მიმართულებით, უზრუნველვყოთ საზოგადოებრივი პროცესების უნარიანი ხელმძღვანელობა, პარტიულ მუშაობაში ახალი შემოქმედებითი მიდგომის შემოშვება. მართვის ახალ სისტემაზე ეკონომიკის გადაყვანისათვის საქმიანობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაითმოს გარდამავალ პერიოდში სახალხო მეურნეობის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფას, როცა ამოქმედებს მართვის როგორც ახალი, ისე ძველი მეთოდები.

პარტიული ორგანიზაციები მიმდინარე გარდაქმნათა ავანგარდში უნდა იყვნენ. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა თანამიმდევრულად უნდა განახორციელონ მუშაობის სტილის სრულყოფის, პირველად პარტიულ ორგანიზაციებზე, შრომითს კოლექტივებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე დაყრდნობით ხელმძღვანელობის პოლიტიკური მეთოდების დამკვიდრების გეზი, ალალმართლად და პრინციპულად შეაფასონ საქმის ვითარება, კადრებს ასწავლონ ახლებურად მოქმედება. უნდა განვახორციელოთ კონკრეტული ღონისძიებანი, რათა გაიზარდოს პასუხისმგებლობა და პრინციპულობა ცენტრალური ეკონომიკური ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და გაერთიანებების პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობაში.

პარტიის XXVII ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმისა და ახლანდელი პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობის გააქტიურების მიზნით საჭიროდ ჩაითვალოს მომდინარე წლის დამლევს გაიმართოს კომუნისტთა კრებები და პარტიული კომიტეტების პლენუმები და მოსმენილ იქნეს არჩევითი ორგანოების ანგარიშები გარდაქმნისადმი ხელმძღვანელობისათვის მათი მუშაობის შესახებ.

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეკონომიკური მართვის, მთლიანად სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა ახლა ცენტრალური ამოცანაა, რომელიც განსაზღვრავს დაჩქარების მთელი სტრატეგიის წარმატებას. მისი განხორციელება უმნიშვნელოვანესი საერთო-პარტიული, საერთო-სახალხო საქმეა, ქვეყნის მთელი ცხოვრების განახლების პროცესის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი და ოქტომბრის საქმის უშუალო განგრძობაა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის მოწვევის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. მოწვეულ იქნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX საკავშირო კონფერენცია 1988 წლის 28 ივნისს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში.

2. დამტკიცდეს კონფერენციის შემდეგი დღის წესრიგი:

1. სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობა, მეთორმეტე ხუთწლედის პირველი ნახევრის ძირითადი შედეგები და პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები გარდაქმნის პროცესის გაღრმავების საქმეში.

2. პარტიისა და საზოგადოების ცხოვრების შემდგომი დემოკრატიზაციის ღონისძიებანი.

3. დაწესდეს სკკპ XIX საკავშირო კონფერენციაზე წარმომადგენლობის ნორმა: თითო დელეგატი 3780 პარტიის წევრთაგან, ამასთან მხედველობაში იქონინონ, რომ კონფერენციაზე წარსაგზავნი დელეგატები უნდა აირჩიონ დახურული (ფარული) კენჭისყრით მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტების პლენუმებზე. უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთისა და ყაზახეთის კომპარტიათაგან წარსაგზავნი დელეგატების არჩევნები მოეწყოს პარტიის საოლქო კომიტეტების პლენუმებზე.

საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, შინაგანი და სასაზღვრო ჯარების ნაწილების პარტორგანიზაციათაგან სკკპ XIX საკავშირო კონფერენციაზე წარსაგზავნ დელეგატებს ირჩევენ ასევე კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების პლენუმებზე ერთად.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საზღვარგარეთ მყოფი ნაწილების პარტიულ ორგანიზაციებში შემავალი კომუნისტები სკკპ XIX საკავშირო კონფერენციაზე წარსაგზავნ დელეგატებს ირჩევენ შესაბამის საჯარისო გაერთიანებათა კონფერენციებზე.

დელეგატთა არჩევნები მოეწყოს 1988 წლის აპრილ-მაისში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს პარტიულ ორგანიზაციებს სკკპ საკავშირო კონფერენციის სამზადისი წარმართონ მაღალ იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ დონეზე, პარტიის რიგების შემდგომი შეკავშირების, პარტიისა და ხალხის ერთიანობის განმტკიცების, ქვეყანაში მიმდინარე რევოლუციური საზოგადოებრივი გარდაქმნების პროცესის გაღრმავების ნიშნით.

ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის ძირითადი დებულებანი

პარტიის, მთელი ხალხის უპირველესი ამოცანა, რომელიც ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა წამოაყენა და სკკპ XXVII ყრილობამ მოიწონა, ის არის, რომ დავაჩქაროთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მტკიცედ დავძლიოთ ეკონომიკის არახელსაყრელი ტენდენციები, მივანიჭოთ მას ჯეროვანი დინამიზმი, ფართო გასაქანი მივცეთ მასების ინიციატივასა და შემოქმედებას, საზოგადოების ნამდვილად რევოლუციურ გარდაქმნებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საზოგადოების მთავარ სფეროში — ეკონომიკაში შემუშავებულია და ხორციელდება ახალი სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკა, ძალები და საცხრები ხმარდება სოციალური სფეროს განვითარებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანეს მიმართულებებს, მიმდინარეობს მტკიცე ბრძოლა წარმოების ეფექტიანობის გასაზრდელად და პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დაიწყო ღრმა ცვლილებათა პროცესი ეკონომიკის მართვაში, მიმდინარეობს მეურნეობის გაძლოლის ახალი მეთოდების ათვისება, რომლებიც შემოუშავებულია 70-80-იანი წლების მიჯნაზე შექმნილი სიტუაციის ანალიზის საფუძველზე, ინერგება ფართო მასშტაბის ეკონომიკური ექსპერიმენტების სერიები. მაგრამ ჯერჯერობით მიღწეულია არა კარდინალური, არამედ მხოლოდ ნაწილობრივი შედეგები. ეკონომიკის განვითარებას აფერხებს გაუმართავი სამეურნეო მექანიზმი და მართვის სისტემა.

დამუხრუჭების მექანიზმი ჯერაც არ დამსხვრეულა, სამეურნეო პროცესები ჯერ არ განთავისუფლებულა ხარჯობრივი, მთლიანი მიდგომების ზემოქმედებისაგან, ყოვნდება მუშაობა რესურსების დაზოგვისათვის, ჯერ კიდევ არ დამდგარა ძირეული გარდატეხა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში.

სახალხო მეურნეობის ძირითადი რგოლი — საწარმო (გაერთიანება) ჯერ არ არის ჩაყენებული ისეთ ეკონომიკურ პირობებში, რომლებიც წაახალისებდნენ მას დაკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნილება თავისი პროდუქციით და ეფექტიანად გამოიყენოს მთელი რესურსები.

შექმნილია სახალხო-სამეურნეო დონეზე მართვის ახალი სისტემის მხოლოდ ცალკეული კომპონენტები. ოდნავ თუ შეიცვალა დარგობრივ სამინისტროთა მუშაობის ფორმები და მეთოდები. ისინი ძირითადად ადმინისტრაციული მეთოდებით მართავენ. არ შეცვლილა ცენტრალური ეკონომიკური ორგანოების ფუნქციები, სულ უფრო მწვავედ იჩენს თავს დაგეგმვის, ფასწარმოქმნის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, ფინანსებისა და კრედიტის, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების სფეროში დაგროვილი პრობლემების გავლენა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკის დარგში პარტიის მთავარი პოლიტიკური ამოცანაა **განახორციელოს რადიკალური რეფორმა, შექმნას ერთიანი, ეფექტიანი და მოქნილი მართვის სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს რაც შეიძლება სრულად გამოვიყენოთ სოციალიზმის უპირატესობანი.**

ქვეყნის ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმა მიზნად ისახავს:

— ეკონომიკური ზრდის ორიენტაციის შეცვლას შუალედურიდან საბოლოო, სოციალურად მნიშვნელოვანი შედეგების მისაღწევად, საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად;

— საზოგადოების, კოლექტივისა და თითოეული მუშაკის ინტერესების ორგანულ შეხამებას, ადამიანის ყოველმხრივ განვითარებას, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის თვისებრივად ახალი დონის მიღწევას;

— მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გადაქცევას ეკონომიკური ზრდის მთავარ ფაქტორად;

— შეფონასწორების უზრუნველყოფას, მატერიალური რესურსებისა და სამომხმარებლო დოვლათის იმ დეფიციტურობის დაძლევას, რომელიც აბრკოლებს მეურნეობის ეფექტიან გაძღოლას და წარმოების ინტენსიფიკაციას;

— მომხმარებლისათვის სამეურნეო ურთიერთობაში პრიორიტეტის, ეკონომიკური არჩევანის უფლებებისა და შესაძლებლობების მინიჭებას;

— სახალხო მეურნეობის და, უწინარეს ყოვლისა, მისი ძირითადი რგოლის — საწარმოს (გაერთიანების) ფუნქციონირების სამეედოდ მოქმედი ხარჯთსაწინააღმდეგო მექანიზმის შექმნას.

ქვეყნის ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის დედაარსია ყველა დონეზე გადავიდეთ ხელმძღვანელობის უპირატესად ადმინისტრაციული მეთოდებიდან ეკონომიკურ მეთოდებზე, ინტერესების მართვასა და ინტერესების მეშვეობით მართვაზე, მმართველობის ფართო დემოკრატიზაციაზე, ადამიანის ფაქტორის ყოველმხრივ გააქტიურებაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმისა და პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, პარტიამ შეიმუშავა მართვის ერთიანი სისტემა, რომელიც მოიცავს:

— ჯერ ერთი, საწარმოთა (გაერთიანებათა) დამოუკიდებლობის საზღვრების მკვეთრ გაფართოებას, მათს გადაყვანას სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე, უმაღლესი საბოლოო შედეგებისათვის, მომხმარებელთა წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის პასუხისმგებლობის ამაღლებას, კოლექტივის მუშაობის ეფექტიანობაზე მისი შემოსავლის დონის პირდაპირ დამოკიდებულების დაწესებას, კოლექტიური იჯარის ფართო განვითარებას შრომითს ურთიერთობაში;

— მეორე, ეკონომიკის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის ძირეულ გარდაქმნას, მისი თვისებრივი დონის ამაღლებას, მთლიანად სახალხო მეურნეობის განვითარების სტრატეგიის, ტემპისა და პროპორციების, მისი შეფონასწორების განმსაზღვრელი მთავარი პროცესების ცალკე გამოყოფას, და იმავდროულად ცენტრის საბოლოო განთავისუფლებას ქვემდგომი სამეურნეო რგოლების ოპერატიულ საქმიანობაში ჩარევისაგან;

(გაგრძელება მე-2 გვ.)

ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის ძირითადი დებულებანი

(გაგრძელება)

— მესამე, დაგეგმვის, ფასწარმოქმნის, საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის კარდინალური რეფორმას, გადასვლას წარმოების საშუალებათა საბითუმო ვაჭრობაზე და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესიას, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის, შრომისა და სოციალური პროცესების მართვის გარდაქმნას;

— მეოთხე, ახალი ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალიზაციის გაღრმავებას და კოოპერაციული ურთიერთობის სიმედოვნის განმტკიცებას, აგრეთვე მეცნიერების უშუალო ჩართვას წარმოებაში, და ამ საფუძველზე — გაჭრის ხარისხის მსოფლიო დონისაკენ;

— მეხუთე, გადასვლას მმართველობის მეტისმეტად ცენტრალიზებული სისტემიდან დემოკრატიულ სისტემაზე, თვითმმართველობის განვითარებას, ადამიანის პიროვნების პოტენციალის გააქტიურების მექანიზმის შექმნას, პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი და სამეურნეო ორგანიზაციების ფუნქციების მტკიცე გამიჯვნასა და მათი საქმიანობის სტილისა და მეთოდების ძირეულ შეცვლას.

ეკონომიკის მართვის გარდაქმნა კომპლექსური უნდა იყოს. იგი უნდა დამთავრდეს ძირითადად მიმდინარე ხუთწლედში, და მეცამეტე ხუთწლედის გეგმა ჩამოყალიბდეს მთლიანად მეურნეობის გაძლოლის ახალი მექანიზმის შესაბამისად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმა სოციალისტური საზოგადოების გარდაქმნა-განახლების ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა, და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, ყველა პარტიულ ორგანიზაციას ავალებს სათავეში ჩაუდგნენ შრომითი კოლექტივების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების, სამეურნეო ორგანოების საქმიანობას ამ რეფორმის განსახორციელებლად შემდეგ ძირითად დებულებათა შესაბამისად.

მეორე მოდელი (კოლექტიური იჯარის მოდელი) ემყარება ამონაგებიდან მატერიალური დანახარჯების ანაზღაურების შემდეგ მიღებული შემოსავლის ნორმატიულ განაწილებას. შემოსავლიდან წარმოებს ანგარიშსწორება ბიუჯეტთან და შემდგომ ორგანოსთან, ხდება კრედიტის პროცენტების გადახდა, რის შემდეგაც იქმნება სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავალი. შრომის ანაზღაურების ერთიანი ფონდი იქმნება როგორც ნაშთი საწარმოს სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავლისა, მას შემდეგ, რაც მისგან შეიქმნება: წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების; სოციალური განვითარების ფონდები, რომლებიც განისაზღვრება ნორმატივებით სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავლის მიხედვით.

5. უნდა შეიქმნას პირობები საწარმოების, მათ შორის სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოების **ეკონომიკური შეჯიბრებისათვის,** მეტოქეობისათვის, უმცირესი დანახარჯებით მომხმარებელთა მოთხოვნის უკეთ დაკმაყოფილებისათვის; გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური შეჯიბრება მომხმარებლისადმი მწარმოებლის დიქტატისა და მონოპოლიზმის საწინააღმდეგო საშუალებად.

6. წარმოებაში თითოეული შრომელის ჭეშმარიტი ბატონპატრონის მდგომარეობის უზრუნველყოფის, საწარმოთა უფლებების გარანტიების განმტკიცების მიზნით განხორციელდეს **გადასვლა შრომითი კოლექტივის თვითმმართველობაზე.** უფრო სრულად იქნეს რეალიზებული თვითმმართველობის უპირატესობანი, რათა შეიქმნას ღრმა პირადი დაინტერესება საზოგადოებრივი საკუთრების თადარიგიანი გამოყენებით, ყოველი შრომელის ინიციატივის, საზრიანობისა და ენერგიის სტიმულირებით, და ამავე დროს გამოუმუშავდეთ პასუხისმგებლობა საკუთარი საწარმოს საქმეების, მისი წარმატებებისა და წარუმატებლობისათვის.

საწარმოთა შრომითს კოლექტივებს რჩევა მიეცათ 1987-1988 წლებში ჩამოაყალიბონ შრომითი კოლექტივების საბჭოები, მოაწყონ ხელმძღვანელთა არჩევნები საკოოპერატივო სისტემის ფართო გამოყენების საფუძველზე.

I. გადავიდეთ საწარმოთა (გაერთიანებათა) საქმიანობის ახალ ეკონომიკურ მექანიზმზე

1. **სკკპ** ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ **სამეურნეო მექანიზმის რადიკალური გარდაქმნის ამოსავალი პუნქტია ეკონომიკის ძირითადი რგოლი — საწარმო (გაერთიანება).** საჭიროა, მას შეექმნას განსაკუთრებით ხელშემწყობი ეკონომიკური გარემო, დაუმკვიდრდეს უფლებები, მოემატოს პასუხისმგებლობა, და ამ საფუძველზე გარდაქმნას სამეურნეო მმართველობის მთელი სისტემა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ამოცანად სახავს შეექმნათ სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითნაზღაურობისა და თვითდაფინანსების საფუძველზე **საწარმოს საქმიანობის თანამედროვე სამეურნეო მექანიზმი,** რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს განვითარების ქმედითს შინაგან სტიმულებს და წაახალისებს მას იმუშაოს მომხმარებლის დასაკმაყოფილებლად, ყოველნაირად დაზოგოს რესურსები, ფართოდ გამოიყენოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები. ეს მექანიზმი უარრესად მქედოდ უნდა უკავშირდებდეს ერთმანეთს საწარმოსა და სახალხო მეურნეობის ინტერესებს.

ამ მიზნით საწარმო დამოუკიდებლად უნდა იგეგეგდეს და ამტკიცებდეს თავის ხუთწლიან და წლიურ გეგმებს სახელმწიფო შეკვეთების, საწარმო-ორგანიზაციათა პირდაპირი შეკვეთების, მომხმარებელთა მოთხოვნის საფუძველზე, ამასთან ხელმძღვანელობდეს საზოგადოებრივი მოთხოვნილებებით. ამის გამო საწარმოთა საქმიანობის დაგეგმვაში, შეფასებასა და მატერიალურ სტიმულირებაში მკვეთრად იზრდება ხელშეკრულებათა როლი, რაც გულისხმობს შემკვეთისა და მწარმოებლის ორმხრივი პასუხისმგებლობის გაძლიერებას. საწარმოს ხუთწლიანი გეგმის შედგენის ამოსავალი მონაცემები და საფუძველია საკონტროლო ციფრები, გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივები, სახელმწიფო შეკვეთები და ლიმიტები.

უნდა უზრუნველყოთ შესაძლებლობა, რომ საწარმოებმა სწრაფად, ოპერატიულად იძალნენ საჭირო ნედლეულს, მასალებს, მაკომპლექტებელ ნაწარმს, მანქანებსა და მოწყობილობას. ამ მიზნით ლიმიტებისა და ფონდების მიხედვით საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებიდან უნდა გადავიდეთ მათს უზრუნველყოფაზე უპირატესად საბითუმო ვაჭრობის მეშვეობით წარმოების საშუალებებით, რაც განხორციელდება უფლებებად და ულიმიტებად სამეურნეო ურთიერთობის პარტნიორების — მწარმოებლების ან საბითუმო ვაჭრობის სამეურნეოანგარიშიანი ბაზების თავისუფალი არჩევანის გზით.

2. საწარმოს (გაერთიანებას) უნდა ეკისრებოდეს **სრული ეკონომიკური პასუხისმგებლობა თავიანი საქმიანობის შედეგებისათვის,** რომლებზეც უშუალოდ უნდა იყოს დამოკიდებული კოლექტივის შემოსავლის დონე. ამ მიზნით გადაყვანილ იქნეს ყველა საწარმო **სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე.** საწარმოს მიერ გამომუშავებული სახსრებით უნდა დაიფაროს მთელი მისი მიმდინარე დანახარჯები, მათ შორის შრომის ანაზღაურების ხარჯები, და განხორციელდეს დაბანდებანი წარმოების რეკონსტრუქციაში, გაფართოებასა და სოციალურ განვითარებაში. უნდა მოქმედებდეს წესი, რომლის დროსაც სახელმწიფო პასუხს არ აგებს საწარმოთა ვალდებულებებისათვის. სბიუჯეტო დაფინანსება, როგორც წესი, გამორიცხულია. იგი დარჩება მხოლოდ ყველაზე დიდი პროექტების რეალიზაციისათვის. ამავე დროს საწარმოებს ენიჭებათ ბანკის კრედიტთ პასუხისმგებლური სარგებლობის ფართო შესაძლებლობანი.

საწარმოს კოლექტივის ცხოველმოქმედების მთავარი საფინანსო წყარო უნდა გახდეს მისი სამეურნეო-ანგარიშებრივი შემოსავალი, იგი იქმნება პროდუქციის რეალიზაციით მიღებული ამონაგებისაგან, რომელსაც გამოაკლდება მატერიალური დანახარჯები, სბიუჯეტო და ზემდგომი ორგანოსათვის გადასარიცხი გადასახდელები, აგრეთვე კრედიტის პროცენტები. საწარმო დამოუკიდებლად იყენებს საამორტიზაციო ანარიცხებს, რომლებიც (დადგენილი ნორმატივის მიხედვით ხმარდება წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ფონდს ან ანალოგიური დანიშნულების სხვა ფონდს.

სრულ სამეურნეო ანგარიშთან და თვითდაფინანსებასთან შეუთავსებლად იქნეს მიჩნეული პრაქტიკა, როდესაც **ერთ საწარმოთა მუშაკებს უხასყიდლოდ აცდენენ სხვა საწარმოებში სამუშაოთა შესასრულებლად** — კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამშენებლო ორგანიზაციებში, ბოსტნეულის ბაზებში და ა. შ. ისინი შეიძლება წარმოებდეს მხოლოდ გამონაკლისის სახით სახალხო დეპუტატთა საბჭოების გადაწყვეტილებით, ამასთან უსათუოდ უნდა იყოს გაფორმებული ამ სამუშაოთა შეკვეთები სამეურნეო ხელშეკრულებებით და სრულად ანაზღაურდეს ხარჯები იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ, რომლებსაც შეუსრულეს აღნიშნული სამუშაოები.

3. საერთო-სახალხო ინტერესების შეხამებას კოლექტივის ინტერესებთან ვაღწევთ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელთა გრძელვადიანი სტაბილური ეკონომიკური ნორმატივების მეშვეობით; შრომის ანაზღაურების ფონდისა და ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ფორმირების, აგრეთვე ფასებისა და კრედიტის პროცენტების მეშვეობით. ისინი მოწოდებული არიან შექმნან საწარმოთა საქმიანობის ისეთი ეკონომიკური პირობები, რომელთა დროსაც საწარმოებისათვის ხელსაყრელი იქნება ეძებონ მოთხოვნის უყველაზე ეფექტიანი დაკმაყოფილების, წარმოების ზრდისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების გზები, შეასრულონ სახელმწიფო შეკვეთები, მიაღწიონ საკონტროლო ციფრებს, აქტიურად დანერგონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი.

ამ ფუნქციების წარმატებული შესრულებისათვის გრძელვადიან ეკონომიკურ ნორმატივებს უნდა ამტკიცებდნენ საწარმოები მათი ხუთწლიანი გეგმების შედგენამდე, და ეს ნორმატივები სტაბილური უნდა იყოს. მიჩნეულ იქნეს ახალ სამეურნეო მექანიზმთან შეუთავსებლად მათი საწყისი ბაზის მიხედვით დაწესების ცდები, დაქვეცმაცება წლებისა და ხარჯთა მუხლების მიხედვით, მოცულობის დავალებითი შეცვლა.

საწარმოთა მოგებას ან შემოსავლის სბიუჯეტო გადასახდელთა ნორმატივები უნდა დადგინდეს საწარმოო რესურსების გამოყენებისადმი სახელმწიფოს თანაბარდაძაბული მოთხოვნების საფუძველზე. გამოყენებულ იქნეს ამ მიზნით საწარმოო ფონდების, შრომითი, აგრეთვე ბუნებრივი რესურსების საფასურის ნორმატივები.

უნდა ხორციელდებოდეს გეზი საწარმოო ფონდების საფასურის ერთიანი ნორმის დასანერგავად დარგის ყველა საწარმოსათვის. ხოლო შემდეგ — ყველა დარგისათვის. დაშვებულ იქნეს მისი დროებითი გაუქმება, ან შემცირების შეხადებლობა ზარალიანი და ნაკლებრენტაბელური საწარმოებისათვის.

შრომითი რესურსების ბალანსის დაძაბულობის კვალობაზე ქვეყნის რეგიონების მიხედვით დიფერენცირებული შრომითი რესურსების საფასურის მეშვეობით ანაზღაურდეს სახელმწიფოს ხარჯები მუშახელის მომზადების, მუშაკთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალურ-კულტურული და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის.

ბუნებრივი რესურსების (მიწა, წყალი, სასარგებლო წიაღისეული) საფასურის მეშვეობით ანაზღაურდეს დიფერენციული რენტა, რომელიც წარმოიშობა ამ რესურსების ბუნებრივ პროდუქტიულობაში არსებულ განსხვავებათა შედეგად.

რესურსების სბიუჯეტო გადასახდელებთან ერთად გამოყენებულ იქნეს საწარმოთა იმ შემოსავლის დაბეგვრა, რომელიც რჩება რესურსების საფასურის და კრედიტის პროცენტების გადახდის შემდეგ.

4. სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლისას საწარმოთა კოლექტივებს საწარმოო საქმიანობის თავისებურებათა კვალობაზე შეუძლიათ შეარჩიონ **სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების ორთაგან ერთი მოდელი.**

პირველი მოდელი ემყარება მოგების ნორმატიულ განაწილებას. ხელფასის ფონდი შეიძლება შეიქმნას წმინდა პროდუქციისადმი, ხოლო მომპოვებელ დარგებში — აგრეთვე პროდუქციის რეალიზაციისადმი ნორმატივის მიხედვით ნატურალური გამოხატულებით. მოგებიდან წარმოებს ანგარიშსწორება ბიუჯეტთან და ზემდგომ ორგანოსთან, ხდება კრედიტის პროცენტების გადახდა. ამ ანგარიშსწორების შემდეგ წარმოშობილი ნარჩენი მოგება გადადის შრომითი კოლექტივის განკარგულებაში. ნარჩენი მოგებისაგან ყალიბდება წარმოების, მეცნიერების და ტექნიკის განვითარების; სოციალური განვითარების; მატერიალური წახალისების ფონდები. ამ მოდელში სამეურნეოანგარიშებრივ შემოსავალს ქმნის ხელფასის ფონდი და ნარჩენი მოგება.

მეორე მოდელი (კოლექტიური იჯარის მოდელი) ემყარება ამონაგებიდან მატერიალური დანახარჯების ანაზღაურების შემდეგ მიღებული შემოსავლის ნორმატიულ განაწილებას. შემოსავლიდან წარმოებს ანგარიშსწორება ბიუჯეტთან და ზემდგომ ორგანოსთან, ხდება კრედიტის პროცენტების გადახდა, რის შემდეგაც იქმნება სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავალი. შრომის ანაზღაურების ერთიანი ფონდი იქმნება როგორც ნაშთი საწარმოს სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავლისა, მას შემდეგ, რაც მისგან შეიქმნება: წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების; სოციალური განვითარების ფონდები, რომლებიც განისაზღვრება ნორმატივებით სამეურნეოანგარიშებრივი შემოსავლის მიხედვით.

5. უნდა შეიქმნას პირობები საწარმოების, მათ შორის სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოების **ეკონომიკური შეჯიბრებისათვის,** მეტოქეობისათვის, უმცირესი დანახარჯებით მომხმარებელთა მოთხოვნის უკეთ დაკმაყოფილებისათვის; გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური შეჯიბრება მომხმარებლისადმი მწარმოებლის დიქტატისა და მონოპოლიზმის საწინააღმდეგო საშუალებად.

6. წარმოებაში თითოეული შრომელის ჭეშმარიტი ბატონპატრონის მდგომარეობის უზრუნველყოფის, საწარმოთა უფლებების გარანტიების განმტკიცების მიზნით განხორციელდეს **გადასვლა შრომითი კოლექტივის თვითმმართველობაზე.** უფრო სრულად იქნეს რეალიზებული თვითმმართველობის უპირატესობანი, რათა შეიქმნას ღრმა პირადი დაინტერესება საზოგადოებრივი საკუთრების თადარიგიანი გამოყენებით, ყოველი შრომელის ინიციატივის, საზრიანობისა და ენერგიის სტიმულირებით, და ამავე დროს გამოუმუშავდეთ პასუხისმგებლობა საკუთარი საწარმოს საქმეების, მისი წარმატებებისა და წარუმატებლობისათვის.

საწარმოთა შრომითს კოლექტივებს რჩევა მიეცათ 1987-1988 წლებში ჩამოაყალიბონ შრომითი კოლექტივების საბჭოები, მოაწყონ ხელმძღვანელთა არჩევნები საკოოპერატივო სისტემის ფართო გამოყენების საფუძველზე.

II. გავეცნოთ სახალხო მეურნეობის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა ეფექტიანობა მართვის ეკონომიკური მეთოდების საფუძველზე

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ საწარმოთა (გაერთიანებათა) საქმიანობის ახალი ეკონომიკური მექანიზმის პირობებში საჭიროა **თვისებრივად ახლებური სახე მიენიჭოს ეკონომიკის ცენტრალიზებულ დაგეგმვას.** იგი კონცენტრირებულ უნდა იქნეს იმ საკითხებზე, რომლებიც შეიძლება წყდებოდეს და უნდა წყდებოდეს მხოლოდ ცენტრში. ეს არის, ჯერ ერთი, ეკონომიკური, სოციალური და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების ზოგადსახელმწიფოებრივი სტრატეგიის განხორციელება, სახალხო-სამეურნეო პროცესების რეგულირება ეკონომიკის სრული და სამედო შეწონასწორების საფუძველზე. მეორე, საჭირო პირობების შექმნა საწარმოების (გაერთიანებების) და ტერიტორიული ადმინისტრაციული ერთეულების ეფექტიანი მეურნეობრობისათვის. გარდაქმნამ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის ცენტრალიზებული გეგმა-

დაგეგმვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ ეკონომიკის, როგორც ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის გეგმიანი მართვა მეურნეობის სოციალისტური სისტემის უმნიშვნელოვანესი მოპაპოვარი და უპირატესობაა, პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის მთავარი ინსტრუმენტია.

1. გეგმიანი ეკონომიკის უპირატესობათა უფრო სრული გამოყენების მიზნით უნდა **გარდაიქმნას ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო დაგეგმვის სისტემა.**

იმისათვის, რომ გეგმებში თანამიმდევრულად აისახოს პარტიის ეკონომიკური სტრატეგია, განისაზღვროს მისი განხორციელების პირნციპული გზები და საშუალებები, უნდა შევიმუშაოთ საწყისი სამეურნეო-პოლიტიკური პლატფორმა — **სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონცეფცია** მომავალი თხუთმეტი წლისათვის. იგი უნდა შეიცავდეს ქვეყნის განვითარების პრიორიტეტებისა და მიზნების კომპლექსს, განსაზღვრავდეს სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიმართულებებს, სოციალური განვითარების მიჯნებს, საგანმანათლებლო და კულტურული პოტენციალის დაგროვების, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობის ამოცანებს.

კონცეფცია წარმოადგენს მეცნიერულად დასაბუთებულ პროგრამას, თუ როგორ მოვამზადოთ **სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებანი** თხუთმეტი წლისათვის პირველი ხუთწლეულის ვრცელი დასაბუთებით. ძირითადმა მიმართულებებმა კონკრეტული ციფრებითა და ამოცანებით მატერიალურად უნდა შეასახან ხორცი პარტიის სტრატეგიას, განსაზღვრონ გეგმის საწყისი პარამეტრები უახლოესი ხუთწლეულისათვის და დაასაბუთონ მისი რეალიზაციის შესაძლებლობები და ვადები. ხუთწლედის წლების მიხედვით.

2. **სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმა,** რომელიც წლების მიხედვით მუშავდება, უნდა დადაიქცეს ძირითადი მიმართულებებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციის მთავარ ფორმად.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის პროექტს ამუშავებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებების, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროების (უწყებების) გეგმების პროექტების საფუძველზე, და განსაზღვრავს სახალხო მეურნეობის შედეგების, პროპორციებისა და ეფექტიანობის დამახასიათებელ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლებს. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს ხუთწლიანი გეგმის პროექტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში შეაქვს წინასწარ, მორიგი ხუთწლეულის დაწყებამდე.

ხელმძღვანელობენ რა ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებებით, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისაგან მიღებული დაგეგმვის საწყისი მონაცემებით, და საწარმოთა (გაერთიანებათა) გეგმების საფუძველზე სსრ კავშირის სამინისტროები (უწყებები) და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ამუშავებენ დარგების განვითარების ხუთწლიანი გეგმების პროექტებს მოკავშირე რესპუბლიკებისთვისაც.

სსრ კავშირის სამინისტროები (უწყებები), მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები განსაზღვრავენ საწყის მონაცემებს საქვეუწყებო საწარმოების (გაერთიანებების) ხუთწლიანი გეგმების შედგენისათვის: საკონტროლო ციფრებს, გრძელვადიან სტაბილურ ეკონომიკურ ნორმატივებს, სახელმწიფო შეკვეთებს და ლიმიტებს. საწყისი მონაცემების შესაბამისად, აგრეთვე მომხმარებლებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანოების პირდაპირი შეკვეთებით საწარმოები (გაერთიანებები) დებენ სამეურნეო ხელშეკრულებებს, ადგენენ და ამტკიცებენ თავიანთ გეგმებს.

3. გარდაქმნის ცენტრალური მომენტია **დაგეგმვის ეკონომიკურ მეთოდებზე საწარმოთა საქმიანობის გადასვლა საკონტროლო ციფრების, გრძელვადიანი სტაბილური ეკონომიკური ნორმატივების, სახელმწიფო შეკვეთებისა და ლიმიტების საფუძველზე.**

საკონტროლო ციფრები უნდა ასახავდნენ საწარმოს მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე საზოგადოებრივ მოთხოვნილებას, წარმოების ეფექტიანობის მინიმალურ დონეს. მათ არ უნდა ჰქონდეთ დირექტიული ხასიათი, არ უნდა ბოჭავდნენ შრომითს კოლექტივს გეგმის შემუშავებისას, ამასთან გადაწყვეტილებებია და პარტნორების არჩევის ფართო გასაქანს აძლევდნენ სამეურნეო ხელშეკრულებათა დადების დროს. შეკვეთებისა და ხელშეკრულებების შესრულება საწარმოთა საქმიანობის შეფასებისა და შრომითი კოლექტივების მატერიალური სტიმულირების უმთავრესი კრიტერიუმი უნდა გახდეს.

საკონტროლო ციფრები შეიცავენ პროდუქციის წარმოების, სამუშაოებისა და მომსახურების მაჩვენებელს ღირებულებით გამოხატულებით (გაანგარიშების საფუძველზე) ხელშეკრულებების დადებისათვის, მოგების (შემოსავალი), სავალუტო ამონაგებს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყველაზე მნიშვნელოვან ზოგად მაჩვენებლებს და სოციალური სფეროს განვითარების მაჩვენებლებს.

ახალი სამეურნეო მექანიზმის ათვისებისა და სახალხო სამეურნეო ანგარიშზე, თვითანაზღაურებასა და თვითდაფინანსებაზე გადასვლის დამთავრების პერიოდში უნდა გამოვიყენოთ შრომის ნაყოფიერებისა და მასალატევადობის მაჩვენებლები.

სტაბილური გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივები განსაზღვრავს ბიუჯეტთან ურთიერთობას, შრომის ანაზღაურების ფონდისა და ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ფორმირებას და ფასებთან, კრედიტის პროცენტებთან ერთად წარმოადგენს გეგმიანი მუშაობის მთავარ ინსტრუმენტს, საწარმოებზე საგეგმო ორგანოების ზემოქმედების ძირითად ბერკეტს, რომლებიც მათ საზოგადოების ინტერესებისათვის, გეგმის მიზნობრივი მითითებების მიღწევისათვის ამოქმედებს.

სახელმწიფო შეკვეთები უზრუნველყოფს უპირველესი საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ისინი საწარმოებს ეძლევათ იმისათვის, რომ ამოქმედონ საწარმოო სიმძლავრეები და სოციალური სფეროს ობიექტები სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების ხარჯზე, აგრეთვე გამოუშვან ზოგიერთი ისეთი სახეობის პროდუქცია, რომელიც საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, საერთო-სახელმწიფო სოციალური ამოცანების გადაწყვეტის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების ან ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. მიიწოდონ საქაშირო და რესპუბლიკურ ფონდს სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

სახელმწიფო შეკვეთებს საწარმოებს აძლევენ ზემდგომი ორგანოები და შეიძლება განაწილდეს კონკურსის საფუძველზე; ისინი აუცილებლად უნდა შეიტანონ გეგმებში. სახელმწიფო შეკვეთების გაცემისას უნდა გათვალისწინონ მზარეების, შემსრულებლისა და შემკვეთის ორმხრივი პასუხისმგებლობა.

საწარმოებისათვის დაგზავნილი **ლიმიტები** ადგენენ დარგთაშორისი წარმოებების განვითარების, ახალი მშენებლობის და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტისათვის სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების ზღვრულ ოდენობას სახელმწიფო გეგმაში შეტანილი ობიექტების, სამშენებლო-სამონტაჟო და სიჯარო სამუშაოების ცენტრალიზებულად განაწილებული მატერიალური რესურსების ნუსხის შესაბამისად.

4. ქვეყანაში მთელი გეგმიანი მუშაობის გარდაქმნის საერთო ამოცანების საფუძველზე, **ძირეულად უნდა გარდაიქმნას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სხვა ცენტრალური ეკონომიკური უწყებების საქმიანობა.** სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი უნდა გადაიქცეთ ქვეყნის ნამდვილად სამეცნიერო-ეკონომიკურ შტაბად, რომელიც განთავისუფლებული იქნება მიმდინარე სამეურნეო საკითხებისაგან. მან მთელი მეცადინეობა უნდა მოახმაროს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმიანი ხელმძღვანელობის სტრატეგიულ მიმართულებებს, უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო პროპორციების შექმნას, მთავარი სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების ჩარეგანებას, სახალხო მეურნეობის შეწონასწორების უზრუნველყოფას. ამის შესაბამისად უნდა გარდაიქმნას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის აპარატისა და სხვა საგეგმო ორგანოების სტრუქტურა, განმტკიცდეს მათი კრებსითი, სოციალურ-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და ტერიტორიული ძვეგანაყოფები.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საქმიანობის უპირველესი მიზანი უნდა გახდეს ის, რომ ნიადაგ ხელმძღვანელობდეს სამეურნეო მექანიზმს, ქმნიდეს საწარმოთა ეფექტიანი მუშაობის ეკონომიკურ წანამძღვრებს, ამუშავებდეს მეცნიერულად დასაბუთებულ გრძელვადიან სტაბილურ ეკონომიკურ ნორმატივებს.

იმ პირობებში, როცა უდიდეს მნიშვნელობას იძენს ხუთწლიანი პერიოდისათვის ფინანსური გეგმების, გრძელვადიანი სტაბილური ეკონომიკური ნორმატივების, ფასების სისტემის, საფინანსო-საკრედიტო ბერკეტების, შრომის ანაზღაურებისა და სტიმულირების პრინციპების შეთანხმებული დამუშავება, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს უნდა დაეკისროს ცენტრალური ეკონომიკური ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია.

მთელი გეგმიანი მუშაობა ისე უნდა წარვმართოთ, რომ ნამდვილად უზრუნველვყოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება და მისი ეკონომიკური ზრდის მთავარ წყაროდ გადაქცევა. ისევე, როგორც მთელი სახალხო მეურნეობის მიმართ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვაში საბოლოოდ უნდა ვთქვათ უარი ადმინისტრაციულ-თვითნებურ მეთოდებზე და გადავიდეთ ხელმძღვანელობის ეკონომიკურ მეთოდებზე. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე უნდა იყოს ორიენტირებული გრძელვადიანი სტაბილური ეკონომიკური ნორმატივები, ფასები, ფინანსები და კრედიტი, სახელმწიფო შეკვეთები.

ამის შესაბამისად უნდა გარდაიქმნას **სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის** ფუნქციონირება, დაეკისროს მას სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების შემუშავება, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების სახელმწიფო შეკვეთების ფორმირება, განლაგება და მათი შესრულებისადმი კონტროლი, დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსების ხელმძღვანელობა. უზრუნველვყოთ, რომ ფართოდ დაინერგოს საკონკურსო-სახელშეკრულებო საწყისები სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში, მათ შორის ფუნდამენტური გამოკვლევები, სამეცნიერო გამოკვლევები და ნამუშევრები განვახორციელოთ სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების, შემკვეთების მიერ სამეცნიერო ნამუშევრების ანაზღაურების პრინციპით მათი გამოყენების ეფექტის კვალობაზე.

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

სკკპ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ მეურნეობრიობის ახალ პირობებში ძირეული გარდაქმნა მოითხოვს მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.

1. მას საფუძვლად უნდა დაედოს **მატერიალური რესურსების ცენტრალიზებული ფონდირებიდან და მიმწოდებლებზე მომხმარებელთა მიმაგრებიდან წარმოების საშუალებების საბითუმო ვაჭრობაზე მტკიცე გადასვლა.**

საბითუმო ვაჭრობა უნდა გამოვიყენოთ როგორც საშუალება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა მომხმარებელმა ზემოქმედება მოახდინოს მწარმოებელზე, მიაღწიოთ დინამიკურ შესაბამისობას მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, დავძლიოთ მატერიალური რესურსების დეფიციტი; თითოეული საწარმოსათვის უზრუნველვყოთ რეალური შესაძლებლობა თავისი ფინანსური სახსრების ფარგლებში შეიძინოს თავისი მოთხოვნილებისა და განვითარების გეგმების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, და ამით უზრუნველვყოთ აგრეთვე სრული სამეურნო ანგარიშისა და ოკეანდაფინანსების მატერიალური პირობები. განვახორციელოთ წარმოების საშუალებების საბითუმო ვაჭრობა თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის ფორმით მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის პირდაპირი ხელშეკრულებების, შუამავლებთან, უწინარეს ყოვლისა ტერიტორიული მომმარაგებელგამაღებელი ორგანოების საწარმოებთან დადებული ხელშეკრულებების, და საფირმო მაღაზიების მეშვეობით.

წარმოების საშუალებათა რეალიზაციაზე გადასვლა საბითუმო ვაჭრობის წესით უნდა დამთავრდეს ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში. ლიმიტების მიხედვით მიზანშეწონილია გავასაღოთ მხოლოდ წარმოების განსაკუთრებით დეფიციტური საშუალებები.

2. **ეროვნულ-ეკონომიკური** ბალანსი, ფასები, ფასებს უნდა მივანიჭოთ ხარჯსაწინააღმდეგო მიმართულება, გავზარდოთ მათი მასტიმულირებელი როლი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში, რესურსდაზოგვაში. ფასების ახალმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს გადანაწილების გაუმართლებელი პროცესებისა და დოტაციების შემცირება, შექმნას ეკონომიკურად დასაბუთებული პირობები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე გადასვლისათვის.

ფასების ახალ სისტემაში უნდა გავაუმჯობესოთ **მრეწველობის ნედლეული და დამმუშავებელი დარგების პროდუქციაზე საბითუმო ფასების შესაბამისობა.** შესაბამისი დარგების რენტაბელობის ნორმალური დონის უზრუნველყოფის, საბობ-ნედლეული რესურსების დაზოგვის სტიმულირების მიზნით უნდა გაიზარდოს ნედლეულისა და სათბობის ფასები. მანქანათმშენებლობის, ახალი ტექნიკის პროდუქციის ფასებში უნდა გავითვალისწინოთ მანქანებისა და მოწყობილობის რეალური ეფექტიანობა, სტიმული მივცეთ მაღ

ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის ძირითადი დებულებანი

(დასასრული)

ლაურებისა და თვითდაფინანსების, აქციური საბაჟო პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ მანეთის მყიდველობითუნარიანობის გაზრდას, მისი კონვერტაბელობის ეტაპობრივ უზრუნველყოფას, უპირველესად ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში.

III. გარდავქმნათ მართვის ორგანიზაციული სტრუქტურები

მართვის არსებულ სტრუქტურასა და მეთოდებს ახასიათებს მოუქნელი და გაბერილი აპარატი, რომელიც ცდილობს ეკონომიკას უხელმძღვანელოს არა ეკონომიკური ინტერესების გამოყენების გზით, არამედ დეტალური და ოპერატიული განკარგულებებისა და წვრილმანი კონტროლის მეშვეობით. ამის შედეგად მართვის სისტემა სულ უფრო ნაკლებეფექტიანი ხდება.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია გარდაიქმნას ეკონომიკაში ყველა ორგანიზაციული სტრუქტურა — ძირითადი რგოლით დაწყებული და დარგებით, რეგიონებისა და სახალხო მეურნეობით დამთავრებული.

1. უნდა უზრუნველყოთ **ძირითადი რგოლის — საწარმოს (გაერთიანების) ორგანიზაციული სტრუქტურების ფორმირება და განვითარება,** დავძლიოთ აქ ვიწრო უწყებრივი და კუთხური ბარიერები, რომლებიც აფერხებენ წარმოების განსაზოგადოების პროცესებს, მის კონცენტრაციას, სპეციალიზაციას და კომბინირებას, ეკონომიკაში მრავალფეროვანი ინტეგრაციული პროცესების გაჩაღებას, განსაკუთრებით, ჰორიზონტალის მიხედვით.

სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე საწარმოთა გადაყვანა უნდა ეხამბოდეს მათთვის იმ უფლებათა მინიჭებას, რომ შექმნან საერთო წარმოებანი ერთობლივ საწყისებზე: გაერთიანებაზე, თუნდაც სრულ შერწყმამდე, თუკი ეს ნაკარნახევია კოოპერაციული და ტექნოლოგიური ურთიერთობის, საბოლოო პროდუქციის ეფექტიანი მიღების ინტერესებით.

უნდა განხორციელდეს გეზი, რათა პერსპექტივაში მმართველობის საკავშირო ორგანოს დაქვემდებარებაში ჰყავდეთ რამდენიმე ათასი მსხვილი სამეცნიერო-საწარმოო, დარგობრივი, დარგთშორისი და ტერიტორიულ-დარგობრივი გაერთიანება, რომლებსაც უნარი შესწევთ დამოუკიდებლად განახორციელონ მთელი ციკლი „მეცნიერული კვლევა და ნამუშევრები — ინვესტიციები — წარმოება — გასაღება — მომსახურება“.

საშუალო და წვრილი საწარმოები, მათ შორის, ადგილობრივ ხელოსნურ ორიენტირებული კოოპერაციული საწარმოები უნდა დაქვემდებარონ რესპუბლიკურ და ადგილობრივ მართვის ორგანოებს.

ამ მუშაობის პროცესში უნდა ეიხელმძღვანელოთ იმით, რომ საჭიროა შეიქმნას ორგანიზაციული პირობები საწარმოთა (გაერთიანებათა) ეკონომიკური შეჯიბრებისათვის, არ დავუშვათ წარმოების მონოპოლიზაცია და მწარმოებლის დიქტატი მომხმარებლისადმი.

2. სამინისტროები მოწოდებული არიან იყვნენ დარგების სამეცნიერო-ტექნიკური და საგეგმო-ეკონომიკური შტაბები.

სამინისტროთა საქმიანობის ძირეული გაუჯობესების მიზნით ისინი უნდა განთავისუფლდნენ საწარმოთა ოპერატიული მართვის ფუნქციებისაგან. ისინი მოვალენი არიან პასუხს აგებდნენ ქვეყნის წინაშე დარგის პროდუქციაზე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, აღკვეთონ დისპროპორციები, უზრუნველყონ წარმოების ტექნოლოგიისა და პროდუქციის ხარისხის მსოფლიო დონეზე გასვლა, ორგანიზაცია გაუწიონ საერთო-დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას. მათი ამოცანაა ეფექტიანად აწარმოონ მუშაობა სპეციალიზაციისა და კოოპერირების გასაღრმავებლად, წარმოების ორგანიზაციისა და სტრუქტურის სრულყოფის უზრუნველსაყოფად. უნდა გაძლიერდეს სამეხისტროთა აქტიურობა საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში, კადრების მომზადება-გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში. სამინისტროთა ახალი ამოცანები და ფუნქციები მოითხოვს დაზუსტდეს მათი შემადგენლობა, შემცირდეს და გამარტივდეს აპარატის სტრუქტურა, განმტკიცდეს მისი სამეცნიერო-ტექნიკური და საგეგმო-ეკონომიკური ქვედანაყოფები და ლიკვიდირებულ იქნეს აპარატის ის ნაწილი, რომელსაც ოპერატიულ-სამეურნეო ფუნქციები აკისრია. აპარატის მუშაკები დაუფლებული უნდა იყვნენ ხელმძღვანელობის ეკონომიკურ მეთოდებს, იღვწოდნენ სტილის დემოკრატიზაციისათვის, აძლიერებდნენ საჯაროობის მუშაობაში.

3. უნდა გავაუჯობესოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივმოქმედი ორგანოების საქმიანობა, დავუქვემდებაროთ იგი ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმის გატარების ამოცანებს. საჭიროა გაგრძელდეს კურსი, რომლის მიზანია მთავრობის მუდმივი ორგანოები გადაიქცნენ ცხოველუნარიან ორგანიზაციებად, რომლებიც პასუხს აგებენ თავიანთი კომპეტენციების განვითარებისათვის. მათი მუშაობა უნდა მოხმარდეს დარგთშორისო კოოპერაციის განვითარებას, სიეპსპოტო ბაზისა და საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის განმტკიცებას.

4. განვახორციელოთ გადამწყვეტი ღონისძიებანი **საკონტროლო აპარატის** შემცირებისა და საქმიანობის მოწესრიგებისათვის, დავუქვემდებაროთ იგი საერთო-სახელმწიფოებრივ, საერთო-სახალხო ინტერესებს. სახალხო კონტროლი უნდა გახდეს მოქმედებული საკითხების გამოვლენის ქმედითი საშუალება, სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმეთა თვითმმართველობის პროცესში მასების ჩაბმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმა.

შეექმნათ სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის ბაზაზე კონტროლის ერთიანი მთლიანი სისტემა, რომელსაც ექნება ფართო უფლებამოსილება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, აწარმოებს თავის საქმიანობას კომპლექსურად, საერთო-სახალხო პოზიციებიდან, დაეყრდნობა მაქსიმალურ საჯაროობას მუშაობაში.

5. ძირეულად გარდავქმნათ **სტატისტიკა.** უზრუნველყოთ მის მუშაობაში მკვეთრი შემობრუნება თვისებრივი მაჩვენებლებისაკენ, რეგიონული და სოციალური განვითარების საკითხებზე. ინფორმაციის გაფართოება, სხვადასხვაგვარი შერჩევითი გამოკვლევების მოწყობა. გამოვიყენოთ სტატისტიკა როგორც საჯაროობის, სოციალურ-ეკონომიკური ანალიზის, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრაში კომპეტენტურობის ამაღლების დიდმნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. უზრუნველყოთ სტატისტიკური ინფორმაციის ოპერატიულობა და უტყუარობა, შევამციროთ და გავამარტივოთ ანგარიშგება, გავაძლიეროთ ბრძოლა თვალსაზეოვნებისა და წამატებების წინააღმდეგ. გავაფართოოთ სტატისტიკური მასალების გამოქვეყნების საზღვრები.

— დააკმაყოფილონ სასურსათო პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილება ადგილობრივ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენების გზით, შეასრულონ სრული მოცულობით საერთო-საკავშირო და რესპუბლიკურ ფონდებში სურსათის მიწოდება;

— კოორდინაცია გაუწიონ საწარმოთა საქმიანობას სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარებისათვის, აღმოფხვრან მისი დეფიციტი, აგრეთვე პასუხი აგონ საქონლის გამოშვებისა და მომსახურების გაწევის მოცულობასთან მოსახლეობის ყოველდღიურ მოთხოვნის ზოგადი შეწონასწორებისათვის.

— გავაძლიეროთ მოკავშირე რესპუბლიკებისა და ცალკეული რეგიონების სოციალური განვითარებისათვის გამიზნული რესურსების მოცულობებსა და რესპუბლიკების ტერიტორიებზე განლაგებულ საწარმოთა ეკონომიკური საქმიანობის შედეგებს შორის დამოკიდებულება.

3. იმ მიზნით, რომ განამტკიცოთ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური ბაზა და დავუკავშიროთ იგი შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შედეგებს, **ნორმატიული პრინციპებით უნდა გარდავქმნათ** რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირება.

ამისათვის ფასების ახალი სისტემის პირობებში უნდა გავითვალისწინოთ, რომ გრძელვადიანი სტაბილური ეკონომიკური ნორმატივების მიხედვით ადგილობრივ ბიუჯეტებში შევიტანოთ გამოყენებული შრომითი და ბუნებრივი რესურსების საფასურის ნაწილი, აგრეთვე გარემოს გაუუქმყიანებისათვის ჯარიმების მთელი თანხა. შემოვიოთ ადგილობრივი ორგანოებისათვის გადახდა საწარმოთა (გაერთიანებათა) განაგარიშებული მოგების (შემოსავალი) ნორმატივის მიხედვით მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად. გავაძლიეროთ სახალხო დეპუტატთა საბჭოების დაინტერესება იმით, რომ გაიზარდოს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება და მოსახლეობისათვის მიყიდვა, ამასთან დაუდგინდეთ მათ ტერიტორიაზე შესატანი გადასახადების ანარიცხების სტაბილური ნორმატივები ხუთწლედისათვის.

ამავე დროს არსებითად უნდა გაფართოვდეს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების იმ ამოცანათა შედგენილობა, რომლებიც უნდა გადაწყვეტონ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა თავიანთი ბიუჯეტების ხარჯზე. მთლიანად დაეკისროთ ბიუჯეტებს ადგილობრივი დაქვემდებარების ახალ საწარმოთა მშენებლობის დაფინანსების, რეგიონალური საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხების გადაწყვეტა და რეგიონალური მნიშვნელობის სხვა საკითხები. გაფართოვდეს ადგილობრივი მნიშვნელობის მშენებლობა, აგრეთვე ადგილობრივი საშენი მასალების წარმოება ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრების ხარჯზე.

უნდა გარდავქმნათ **მოკავშირე რესპუბლიკებში ეკონომიკის მართვის ორგანიზაცია,** ამასთან არ დავუშვათ მათში საკავშირო მართვის ორგანოების შემადგენლობისა და სტრუქტურის მექანიკური გადაღება, ადგილებზეკი — რესპუბლიკურისა.

მძიმე მრეწველობის საწარმოებისა (გაერთიანებების) და გეოლოგიურ-სადაზვერვო საბუშაოების ხელმძღვანლობის კონცენტრაცია უნდა მოვახდინოთ ძირითადად საკავშირო მართვის ორგანოებში, ადგილობრივი ბაზრისათვის მომუშავე საწარმოების ხელმძღვანელობის კონცენტრაცია კი — რესპუბლიკური და ადგილობრივი მართვის ორგანოებში.

სახალხო მეურნეობის პრაქტიკული ხელმძღვანელობისათვის მიზანშეწონილია მხარეებსა და ოლქებში შეექმნათ **სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მთავარი საწარმოო-ეკონომიკური სამმართველოები.** ახალ სამეურნეო მექანიზმს შეეუსაბამოთ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მიერ საწარმოთა საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები.

V. გავაძლიეროთ მართვის სოციალური მიზანმიმართულობა

1. **სკკპ** ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ **უმთავრესი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ამოცანაა გავაძლიეროთ ადამიანის ფაქტორის როლი, შეექმნათ მოტივაციისა და სტიმულების ძლავრი სისტემა, რომელიც ყველა მუშაკს გაუღვიძებს სურვილს ნაყოფიერად იშრომოს საყოველთაო კეთილდღეობისათვის.** ამის საფუძველზე წარმმართოთ წარმოება იმ გზით, რომ მივაღწიოთ ხალხის კეთილდღეობის თვისებრივად ახალ დონეს, უზრუნველყოთ თითოეული საბჭოთა ადამიანის ყოველმხრივი განვითარება.

2. ინტერესების მართვისა და ინტერესების მეშვეობით მართვისათვის, კოლექტივისა და საზოგადოების ინტერესებთან პიროვნების მატერიალური ინტერესების შეხამებისათვის საჭიროა:

თანამიმდევრულად გავატაროთ ისეთი გეზი, რომ **შრომითმა კოლექტივებმა გამოიმუშაონ** შრომის ანაზღაურებისა და სოციალური განვითარების სახსრები, უზრუნველყონ მათი სრული გამოყენების შესაძლებლობანი. ყველგან გადავიდეთ კოლექტივების შრომის ანაზღაურების ფონდების ნორმატიულ ფონდირებაზე, რაც პირდაპირ იქნება დამოკიდებული მათი საქმიანობის საბოლოო შედეგებზე;

გარდავქმნათ **შრომის ანაზღაურების სისტემა იმ ამოცანების საფუძველზე,** რომელთა მიზანია მისი ეფექტიანობის მკვეთრი გაზრდა და ხარისხის გაუმჯობესება, მშრომელთა დაინტერესების გაძლიერება იმით, რომ სამუშაოები შეასრულონ ნაკლები რაოდენობის მუშაკებით. არ დავუშვათ გათანაბრება, უზრუნველყოთ შრომის ანაზღაურების დასაბუთებული დიფერენციაცია, ამასთან არ შევზღუდოთ იგი რაღაც მაქსიმალური ზღვარით;

თვისებრივად ახლებურად მივუდგეთ **შრომის ორგანიზაციას,** რათა იგი შეესაბამებოდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებს, ფართოდ გამოვიყენოთ მისი პროგრესული ფორმები;

შევქმნათ **კოლექტიური იჯარის** მასობრივი გამოყენების პირობები.

ხელი შევუწყოთ, რომ იჯარის პირობებზე გადავიდნენ ბრიგადები, უბნები, საამქროები, საწარმოები და იმავდროულად შევიდნენ სამეურნეოანგარიშებრივ კოლექტივებში ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები. იჯარა, ჩვეულებრივ, მოვაწყოთ იმის საფუძველზე, რომ ადმინისტრაციასა და საიჯარო კოლექტივს შორის დაიდოს ხელშეკრულება მაფზე საჭირო ქონების მიმაგრებით და შეიქმნას შრომის ანაზღაურების ფონდი მუშაობის საბოლოო შედეგების კვალობაზე სტაბილური ნორმატივების მიხედვით.

გარდავქმნათ შიდასაქარხნო დაგეგმვა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, გადავიდეთ მომატებულ ნორმირებაზე, შემოვიღოთ შიდასაქარხნო ანგარიშსწორების ახალი ფორმები.

3. უზრუნველყოთ მართვაში **მეცნიერულად დასაბუთებული სოციალური ნორმატივების** ფართო გამოყენება და საფუძვლად დავუდოთ მათ სოციალური სფეროს განვითარების დაგეგმვა. საკალდებულოდ მივიჩნიოთ სოციალური ნორმატივების გამოყენება ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნის, ახალი საწარმოებისა და წარმოებების დაპროექტების, მშენებლობის და მოქმედთა რეკონსტრუქციის, შრომის ორგანიზაციისა და პირობების გაუმჯობესების, აგრეთვე გარემოს დაცვის ღონისძიებათა განხორციელების დროს.

4. შევქმნათ **მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების ფორმირების სისტემა.** მეურნეობრობის ახალ პირობებში კარდინალურად უნდა გავაუჯობესოთ შრომითი რესურსების გამოყენების, კადრების შერჩევის, მომზადების, გადამზადებისა და შრომითი მოწყობის ორგანიზაცია.

დასაქმების საერთო-სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისათვის გარდავქმნათ **სსრ კავშირის შრომისა და სოციალური საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და** მისი ადგილობრივი ორგანოების საქმიანობა, დავაკისროთ მათ პასუხისმგებლობა გამოთავისუფლებულ მუშაკთა და დაუსაქმებელი შრომისუნარიანი მოსახლეობის სრული დასაქმების, შრომითი მოწყობის, მომზადებისა და პროფორიენტაციის უზრუნველყოფისათვის, კადრებზე საწარმოთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

შევქმნათ მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და პროფორიენტაციის სამეურნეოანგარიშებრივი ცენტრების (ბიუროების) ქსელი.

5. სკკპ ცენტრალური კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მართვის ძირეული გარდაქმნის ღონისძიებათა ურთიერთდაკავშირებული სისტემის განხორციელება გაუყოფელია **ხამმხმარებლო საქონლისა და ფასიანი მომსახურების მოთხოვნისა და მიწოდების შეწონასწორების** უზრუნველყოფის ამოცანების გადაწყვეტისაგან. ამისათვის საჭიროა:

დავსახოთ სამომხმარებლო საქონლის წარმოებისა და მომსახურების დაჩქარებული განვითარების კვალობაზე სტაბილური ნორმატივების მიხედვით.

6. **სრულვყოთ სოციალურ-კულტურული კომპლექსის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და გამოყენების მართვა.** ყველა დონის გეგმების ჩამოყალიბებისას გავითვალისწინოთ სახსრების პიორიტეტული გამოყოფა საბინაო პრობლემის უსწრაფესი გადაჭრისათვის, ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის, მისი კულტურული და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. არსებითად გავზარდოთ საწარმოთა საკუთარი სახსრების როლი მშრომელთა ცხოვრების სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში. საწარმოო ობიექტების მშენებლობისას დაზოგული კაპიტალდაბანდებანი მოვახმაროთ სოციალურ-კულტურული სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას.

სესხის საფუძველზე კოლმეურნეობების, საწარმოებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების გარანტიებით გამოვიყენოთ კოლმეურნეთა, მუშამოსამსახურეთა პირადი დანაზოგები სოციალურ-კულტურული ობიექტების მშენებლობის დასაფინანსებლად.

მომწიფდა იმის საჭიროება, რომ გარდაიქმნას სოციალურ-კულტურული კომპლექსის — განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფუნქციონირების სამეურნეო მექანიზმი. დავნერგოთ ამ სფეროს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა დაფინანსების სამეურნეოანგარიშებრივი ფორმები და მათი მუშაობის საბოლოო შედეგებთან მჭიდრო კავშირით.

VI. მუსტად მოვაწყოთ ეკონომიკის მართვის გარდაქმნა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამეურნეო მართვის რადიკალური რეფორმის წარმატებით განხორციელების უმნიშვნელოვანესი პირობაა სამუშაოთა ხუსტი ორგანიზაცია და დროში შეთანხმება. დაუშვებელია, რომ საამქოო ორგანიზაციული უზრუნველყოფის უქონლობას, ზოზინსა და შეუთანხმებლობას მოჰყვეს, როგორც კი წინათ ყოფილა, სამეურნეო მართვის რადიკალური რეფორმის გაჭიანურება და ნაწილობრივი განხორციელება. მისი განუხრელი და თანამიმდევრული შესრულება პარტიული კომიტეტებისა და ორგანიზაციების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების, სამეურნეო მართვის, პროფკავშირებისა და კომკავშირის ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

1. 1987 წლის დამლევამდე საგულდაგულოდ მოვამზადოთ ძალაში შესვლისათვის სსრ კავშირის კანონი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ და 1988-1989 წლებში მისი მოქმედება გავავრცელოთ ყველა საწარმოზე, გადავიყვანოთ ისინი სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებზე.

განვახორციელოთ დაგეგმვის, ფასწარმოქმნის, ფინანსებისა და კრედიტის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის გარდაქმნა, რომ მეცამეტე ხუთწლედი დავიწყოთ ახალი სამეურნეო მექანიზმით. ერთდროულად გარდავქმნათ მართვის ცენტრალური ეკონომიკური, დარგობრივი, რესპუბლიკური ორგანოების მუშაობა.

უპირველესი მნიშვნელობის ამოცანა უნდა იყოს 1990 წლამდე იმ ღონისძიებათა პროგრამის შემუშავება და განხორცელება, რომლებიც მიზნად ისახავენ ვითარების ნორმალიზაციას სამომხმარებლო ბაზარში, საქონელსა და ფასიან მომსახურებაზე მოთხოვნისა და მიწოდების შეწონასწორების არსებითი გაუმჯობესება.

შევიმუშაოთ მეცამეტე ხუთწლედის გეგმა მართვის ახალი სისტემის მოთხოვნათა საფუძველზე და მივიღოთ იგი ხუთწლეულის დაწყებამდე.

2. სკკპ ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებით უსვამს ხაზს, რომ უნდა განმტკიცდეს ქვეყნის ეკონომიკის მართვის გარდაქმნის სამართლებრივი საფუძვლები.

დავამკვიცოთ და გავაუქმოთ ყველა ის ნორმატიული აქტი, მათ შორის სამინისტროებისა და უწყებების ინსტრუქციები, რომლებიც ეწინააღმდეგება სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონს, ახალ დებულებებს დაგეგმვის, ფასწარმოქმნის, ფინანსებისა და კრედიტის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, შრომისა და სოციალური პროცესების მართვის დარგში.

კანონმდებლობის გამოყენებისას ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ საწარმოს ენიჭება კანონით აუკრძალავი ყოველგვარი ეკონომიკური საქმიანობის უფლება. კანონები, ჩვეულებრივ, პირდაპირი მოქმედების აქტები უნდა იყოს და უშუალოდ ეხებოდეს შრომითს კოლექტივებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს, თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს.

შეიძლებოდა ახალი კახოხმდებლობის საფუძველზე სამეურნეო გადაწყვეტილებათა მიღების სამართლებრივი პროცედურები, გამოვრიცხოთ სამეურნეო სისტემის ყველა დოხეზე ვოლუხტარიზმის შესაძლებლობა.

განვახორციელოთ სამეურნეო კახოხმდებლობის სისტემატიზაცია და კოდიფიკაცია, დავაჩქაროთ უწყებრივი ნორმატიული აქტების შემუშავებისა და გამოყენების შესახებ საერთო-საკავშირო აქტის მომზადება, განვახორციელოთ ღონისძიებანი, რათა გავაძლიეროთ კონტროლი იმისადმი, რომ უწყებრივი ნორმატიული აქტები შეესაბამებოდეს კანონმდებლობას.

3. მართვის წარმატებული გარდაქმნის უცილობელი პირობაა კადრების ეკონომიკური ცოდნის ამაღლება, იმის უნარი, რომ მართონ ეკონომიკური მეთოდები დემოკრატიისა და ფართო საჯაროობის ვითარებაში.

ყველგან მოვაწყოთ ეკონომიკური მართვის ახალი სისტემის შესწავლა, ყველა შრომითს კოლექტივსა და მართვის ორგანოში მისი ახსნა-განმარტება და საგანმანათლებლო ბრივი განხილვა. გარდავქმნათ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა. სწავლებას საფუძვლად დავუდოთ მეურნეობრობიობის თანამედროვე ძეთოდების პრაქტიკული დაუფლება. შევიმუშაოთ და განვახორციელოთ სწავლების ძატერიალური ბაზის განმტკიცების, მართვის თანამედროვე ტექნიკით მისი აღჭურვის ღონისძიებანი.

პრაქტიკაში ფართოდ დავფიქრდეთ ყველა რანგის ხელმძღვანელთა გამოცდილების გაზიარება, მოვაწყოთ საწარმოთა დირექტორების საქმიანი კლუბები. ძირეულად გავაუჯობესოთ სწავლება ეკონომიკურ უმაღლეს სასწავლებლებში და ეკონომიკის ფაკულტეტებზე, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სპეციალისტთა ეკონომიკური მომზადება.

უახლოეს დროში შევქმნათ უმაღლესი სასწავლებლებისა და კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების სისტემისათვის ახალი სახელმძღვანელოები და ეკონომიკის დამხმარე სახელმძღვანელები, უწინარეს ყოვლისა სამეურნეო მართვის ახალი სისტემის შესასწავლად. მასობრივი პროფესიული სწავლება შევუხამოთ ეკონომიკურს, ჩავთოთ იგი კადრებს კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების სახელმწიფო სისტემაში.

4 სამეურნეო მართვის რადიკალური რეფორმისა და ახალი სამეურნეო მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირების წარმატებული განხორციელების უცილობელი პირობაა **საზოგადოებაში დემოკრატიული საწყისების ფართო განვითარება.**

სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ძირეულ ორგანოების საქმიანობა უნდა [illegible] რეფორმების საჯაროობის, უმცირესი ნაკლოვანებანი გადაწყვეტილებების შემუშავებაში საზოგადოებრიობის ფართო ჩაბმის პირობებში.

საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოვიტანოთ დიდი მასშტაბის სამეცნიერო-ტექნიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკონომგიური პრობლემები და მათი გადაწყვეტის პროექტები. მოსახლეობას შორის ფართოდ განვიხილოთ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხები, როძლებიც ეხება რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ოკრუგის, ქალაქის, რაიონის ინტერესებს, სისტემატურად მოვაწყოთ მოსახლეობის გამოკითხვა უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე.

შეექმნათ პირობები, რომ საზოგადოებრიობა მონაწილეობდეს სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მისაღები გეგმების, ბიუჯეტების, კანონებისა და დადგენილებების პროექტების მიღებაში. უფრო ფართოდ გავაცნოთ მოსახლეობას მთავრობისა და უწყებების, ადგილობრივი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი და მიღებული გეგმებისა და გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობა. გავაფართოოთ ქვეყნის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, რეგიონების, მხარეების, ოლქების, ოკრუგების, ქალაქებისა და რაიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის პუბლიკაცია.

უზრუნველყოთ სახალხო დეპუტატთა საბჭოების, შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მოსახლეობის წინაშე მართვის ორგანოების წარმომადგენელთა რეგულარული ანგარიშგება, აგრეთვე პრესაში გამოსვლების, პრეს-კონფერენციების მოწყობის გზით და მშრომელებთან და მათ წარმომადგენლებთან ურთიერთობის სხვა ფორმები.

* * *

ქვეყნის ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის განხორციელება ნამდვილად რევოლუციური პროცესია. დღეს ეკონომიკა გარდაქმნის დამკვრელური ფორტეია. მის მართვაში რადიკალური გარდაქმნები შეუქცევადი საჭიროება გახდა. მართვის გარდაქმნის მთავარი დანიშნულება ის არის, რომ ახალი იმპულსები მიანიჭოს საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მთელი კომუნისტური პარტიის სახელით საბჭოთა კავშირის მშრომელებს — მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას — მოუწოდებს მხარი დაუჭიროონ სამეურნეო მართვის რადიკალური რეფორმისათვის ჩამოყალიბებულ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტრატეგიულ კურსს, აქტიურად ჩაებან მის განხორციელებაში, დაეუფლონ მართვის ეკონომიკურ მეთოდებს, ისწავლონ ცხოვრება და შემოქმედებითი შრომა სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების, დემოკრატიზაციისა და თვითმმართველობის, ფართო საჯაროობის პირობებში.

მხოლოდ ამ გზით გაბედული და განუხრელი წინსვლის მეოხებით შევძლებთ თვისებრივად გავაუმჯობესოთ ყველა საბჭოთა ადამიანის ცხოვრება, ნამდვილად გავაახლოთ სოციალიზმი, განვამტკიცოთ ჩვენი საბჭოთა ქვეყნის — დიდი ოქტომბრის სამშობლოს პრესტიჟი და ავტორიტეტი.

IV. უზრუნველყოთ ეკონომიკის დარგობრივი და ტერიტორიული მართვის ოპტიმალური შეხამება

1. სკკპ ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია საწარმოო ძალების ყოველმხრივი განვითარების მიზნით **გაძლიერდეს ტერიტორიული ასპექტი დაგეგმაში და გაიზარდოს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და დიდი ქალაქების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების კომპლექსურობა.**

ტერიტორიული განვითარების კონცეფციად შევიმუშაოთ საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების გენერალური სქემა თხუთმეტი წლის პერიოდისათვის. ეკონომიკური და სოციალური განვითარების რეგიონული გეგმების შემუშავებისას უნდა გავითვალისწინოთ შესაბამის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის საქმიანობა, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად. გეგმებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის, იმ დარგთშორისი წარმოებების განვითარებას, რომლებიც აუცილებელია ტერიტორიის კომპლექსური განვითარებისათვის.

კაპიტალური დაბანდებებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ლიმიტები, რომლებიც საჭიროა რესპუბლიკური მეურნეობის განვითარებისათვის, დაწესდეს მთლიანად რესპუბლიკის მიხედვით. ახალი მშენებლობის რაიონებში რეგიონული საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნისა და გარემო ბუნების დაცვის სახსრები გამოიყოს მიზნობრივი დანიშულებით. გამოყენებულ იქნეს პერსპექტიულ რაიონებში განსალაგებელი საწარმოებისათვის ეკონომიკური შეღავათების სისტემა.

2. ამაღლდეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების პასუხისმგებლობა რესპუბლიკების ტერიტორიაზე ეკონომიკური და სოციალური ამოცანების კომპლექსური გადაწყვეტისათვის. ამისათვის მიზანშეწონილია მათ დაეკისროთ, რომ:

—უხელმძღვანელონ მთელ სოციალურ-კულტურულ მშენებლობას და გაუწიონ კოორდინაცია რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების ორგანოებს, საწარმოებს (გაერთიანებებს) და ორგანიზაციებს საქმიანობას ამ დარგში;

—ეხელმძღვანელონ ადგილობრივ ბიუჯეტებიდან ფინანსირებული ობიექტების მშენებლობა, ადგილობრივ ბიუჯეტებიდან ფინანსირებული ობიექტებისა და ადგილობრივ ბიუჯეტებიდან ფინანსირებული ობიექტებისა და ადგილობრივ ბიუჯეტებიდან ფინანსირებული ობიექტებისა და ადგილობრივ ბიუჯეტებიდან ფინანსირებული ობიექტებისა

VII. ეკონომიკის მართვის ძირითადი დებულებანი

ნიკოლოზ ნიკიტას ძე სლიუნკოვი



ამხ. ნ. ნ. სლიუნკოვი დაიბადა 1929 წელს. ეროვნებით ბელორუსია, სკკპ წევრია 1954 წლიდან, აქვს უმაღლესი განათლება — დამთავრა ბელორუსიის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინსტიტუტი.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1950 წელს ქარხანაში ოსტატის თანაშემწედ. მუშაობდა ქარხნის საამქროს უფროსად, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარედ, დირექტორად, მინსკის ტრაქტორსაშენებელი საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორად.

1972 წლიდან ბელორუსიის კომპარტიის მინსკის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანია.

1974 წლიდან სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა.

1983-1987 წლებში მუშაობდა ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად.

1987 წლიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანია.

1986 წლიდან არის სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის მე-7, მე-10 და მე-11 მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრია 1983 წლიდან.

სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატია.

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე იაკოვლ

პროდუქცია არის, ვაგონები — არა

მარნეულის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში მასობრივად გაჩაღდა საადრეო კომბოსტოს და კარტოფილის მოსავლის აღება. ტემპი სწრაფი, ყოველდღიურად შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით და გეგმით გათვალისწინებულზე მეტ პროდუქციას იღებენ.

კარტოფილის, კომბოსტოს და ბოსტეულის დიდი ნაწილი საკავშირო ფონდში იგზავნება. ბეკრგან მთელი სერიოზულობით მოკიდნენ პროდუქციის აღებასა და დამზადებას, ზრუნავენ ზარისხზე. ამ საშუშათა დაჩქარებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ მეურნეობებში ფართოდ დაინერგა კოლექტიური და საოჯახო იჯარა. ახლა თითოეული მშრომელი დაინტერესებულია თავისი შრომის საბოლოო შედეგით.

ამ ცხარე დღეებში თავი იჩინა სერიოზულმა ნაკლოვანებებმა, და თუ აქედანვე არ ავტეხეთ განგაში, საქმე წაზდება და აღარაფერი ეშველება.

მაინც, რაშია საქმე?

პირველი დღეებიდანვე მიწათმოქმედებს მხარში ვერ ამოუდგენ ამიერკავკასიის რკინიგზელები. ისინი მარნეულის რაიონს სისტემატურად ვერ აწვდიან დაგეგმილი ვაგონ-რეფრიჟერატორების მესამედსაც კი, ამავე დროს ვაგონების მიწოდება ხდება გრაფიკის დიდი დარღვევით და დიდი დაგვიანებით. მაგალითად, 22 ივნისს რაიონს დილის 9 საათისთვის უნდა მიეღო 60 ვაგონი. ამაოდ ელოდებოდნენ მათ შემოსვლას საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები და სპეციალისტები. დღის განმავლობაში, მხოლოდ საღამოს მოვიდა 20-მდე ვაგონი. მათ მოლოდინში გაცდა ასობით მუშახელი, ავტომანქანა და სხვა ტრანსპორტი. მთავარი კი ის არის, რომ სასაქონლო ღირებულება მნიშვნელოვნად შეელახა ამ მალფუჭად ძვირფას პროდუქტს. ასეთივე მდგომარეობა იყო წინა დღეებში.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ცალკეული შრომითი კოლექტივები. ალგეთის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებს ამ დღისათვის 4 ვაგონი-რეფრიჟერატორი შეეკვეთათ. განაცხადი ერთი კვირით ადრე იყო გადაცემული და დიდი იმედიც ჰქონდათ, საბირკენდის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები 8 ვაგონს ელოდებოდნენ, 26 კომისრის სახელობის საბჭოთა მეურნეობისა — 4 ვაგონს, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ, თითო-ოროლა ვაგონის მეტი არ გამოუყვეს და ისიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ საღამოთი. მანამდე კი კომბოსტო მინდორში და მანქანებზე ეყარა ბაბანაქება სიცხეში ადამიანების თვალწინ ფუჭდებოდა.

ვაგონების მიმოქცევაში მარნეულის ორივე რკინიგზის სადგურში — მარნეულსა და შულავერში სრულებით არ არის წესრიგი დამყარებული. მარნეულის რკინიგზის სადგურში შევხვდით საბირკენდის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს მამედ მეზტიევს: — უკვე გავითანგე, არაქათი აღარა მაქვს, — ამბობდა იგი, — ორ საათზე მეტია დავრბივარ და ვერ დავადგინე, სად ჩამოაყენეს ჩვენი მეურნეობისთვის განკუთვნილი ვაგონები. არავინ არის, ეს რომ მაინც გვითხრას. მერე გავიგეთ, თურმე, აქ მოსწრებაზე ყოფილა, ვაგონი თუ ჩამოდგა, ვინც მოასწრებს და ჩატვირთავს პროდუქციას, მისია. ამაში წესრიგს არც რკინიგზის სადგურების ხელმძღვანელები ამყარებენ, რაიონული აგრომარეწველი გაერთიანებისა და დამზადების რაიონული რგოლის მუშაკებს კი ამ ყველაზე საჭირო და აუცილებელ დროს სადგურებში ვერ შეეხვედით.

შულავერის სადგურში კი მეტ კურიოზსაც წავაწყდით. ჩიბში იდგა კომბოსტოთი პირთამდე ავსებული ვაგონი. იგი, თურმე, წინა დღეს არაფლოს მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას დაუტვირთავს, მაგრამ რაკი კომბოსტო შედარებით მსუბუქია, ტვირთის წონას ვერ მოუწევია ნორმით დადგენილამდე. სადგურის ხელმძღვანელობა ამ მიზეზით ტვირთს არ აფორმებს, რაკი ქნას მეურნეობამ, ვაგონში მეტი არ ეტევა, არადა, ეუბნებიან, წონა გაზარდეთო. ამ დავაში ორი დღე გადის, ვაგონები ცდება, კომბოსტო კარგავს ხარისხს, გამკითხავი კი არავინ არის. განა ასე შეიძლება?

მოსავლის დამზადების კამპანიის დაწყების პირველ დღეებში მართლაც ბევრმა ნაკლმა იჩინა თავი. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა იგი მოკლე დროში დაძლიონ. საქმე კარგად არც ავტოტრანსპორტის მხრივ არის, რომლის მოწოდება დაუყოვნებლივ უნდა გაბარდონ რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის სამინისტრომ, საქსახგრომრეწველმა, ცეკავშირმა და ყველა სხვა ორგანიზაციამ, რომელთაც ეს საქმე აკისრიათ. ავტომანქანების ნაკლებობაც იგრძნობა. ივლისის თვეში რაიონში ყოველდღიურად უნდა შემოდიოდეს 200 ავტომანქანა, არც ეს სრულდება. ივლისში ეს ციფრი 300-მდე გაიზრდება. რესპუბლიკის ავტოტრანსპორტელებმა შარშან საქმეს თავი ვერ გაართვეს და მეურნეობებიდან ასობით ტონა პამიდორი და სხვა პროდუქტი გაუტანელი დარჩა და გაფუჭდა. ამის შესახებ კიდეც წერდა გაზეთი „კომუნისტი“, მაგრამ კრიტიკიდან დასკვნები ვერ გამოიტანეს და საქმე წახდა. ამ საქმეს წელსაც არ უჩანს კარგი პირი. რედაქცია თავის კონტროლს დაიწყებს და სისტემატურად მოახსენებს მკითხველს საქმის ვითარებას. უნდა შეავქმნათ ყველა პირობა, რათა დიდი შრომა-გაჯეროთ მოწეული მოსავლი მომზმარებელმა დროულად და ხარისხიანი მიიღოს. სოფლის პროდუქტების გადაზიდვას ფართო გზა უნდა მიეცეს.

დ. ბიწაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

დედაქალაქის საგასტროლო აფიშასთან

ეროვნული ხასიათების მკაფიო ჩვენებით

ჩვენს დედაქალაქში დაიწყო ერევნის ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები. რა ინტერესები ახალდგამულებს თეატრის კოლექტივს, ან როგორია მისი შემოქმედებითი პოზიცია, მხატვრული მისწრაფებები — ამას გვაუწყებს საგასტროლო აფიშა. ერევნელებმა ჩამოიტანეს სომხური ეროვნული მუსიკის კლასიკოსების ტ. ჩუხაჯიანის, ა. ტიგრანიანის, ა. ხაჩატურიანის ოპერები და ბალეტები: „არშაკ მეორე“, „ანუშ“, „გაიანე“, „სპარტაკი“, „მახკარადი“, „შარშან დადგმული ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი“, ორი იტალიური და ერთი რუსული კლასიკური ოპერა.

უკვე ვნახეთ პირველი სპექტაკლები. გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორის ა. ხაჩატურიანის ბალეტი „გაიანე“ კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმ უტყუარი შეშმარიტებისა, თუ რაოდენ ძლიერი და სიცოცხლისუნარიანია ხალხურ ფოლკლორზე დაფუძნებული ნაწარმოები. 45 წლის წინათ შექმნილი ბალეტი დღესაც ცოცხლობს სისხლსავსე სცენური ცხოვრებით, რადგან ბალეტის გმირების — გაიანეს, არმენის, გიკოს, ნუნეს, კარენის სახეებში ნიჭიერად და დიდი სიმართლით არის ასახული სომეხი ხალხის ეროვნული თვითმყოფი ხასიათები. აღნიშნულმა სცენურმა ქორეოგრაფიულმა სახეებმა გამოავლინა მრავალი მსახიობი მოცეკვავის ინდივიდუალობა, საცეკვაო ოსტატობა, მათ შორის ამჟამად ასახელმოხვეჭილი მოცეკვავის, სომხეთის სსრ სახალხო არტისტის ვალენ გალსტიანისა, რომელიც დღეს ერევნის სახალეტო დასის მთავარი ბალეტმაისტერია, მასვე ეკუთვნის ბალეტ „გაიანეს“ საბოლოო რედაქცია, რომელიც ათეულ წელზე მეტია დამკვიდრებულია თეატრის რეპერტუარში.

ვ. გალსტიანის ნამუშევარი ყურადღებას იპყრობს საცეკვაო ფოლკლორის ღრმა ცოდნით. იგი კარგად გრძნობს ამიერკავკასიის ხალხთა ცეკვის სტიქიას, მის ბუნებას და ძალიან ადვილად, სახიერად გადაიქცევა ხალხური ილეთები კლასიკური ცეკვის ფორმებში. კორდებალეტის ქორეოგრაფიასთან უშუალო კავშირით ძერწავს იგი ბალეტის გმირის არმენის სახეს, მის ქორეოგრაფიულ ლექსიკაში ლაღი, ჰაეროვანი მოძრაობებით გასხეულებულია ხალხის ოცნება და იდეალი — ჰპოვოს ძლიერი ქმაგი. ამ პარტიას აკადემიური მანერით მომხიბვლელად ასრულებს სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტი ს. აბრამიანი.

ტექნიკურად ძლიერი მოცეკვავე, სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტი ე. მნაცაკანიანი გაიანეს პარტიაში უფრო ლირიკულ საწყისს მისდევს, მაშინ როდესაც ქორეოგრაფიული პარტიის მუსიკალურ დახასიათებას ახლავს მძლავრი, იმპულსური ფრაზები, ტემპერამენტიანი „დაშნებით ცეკვა“, რომელიც კომპოზიტორმა გაიანეს მიუძღვნა მისი ხასიათის გამოსაკვეთად.

უდავოდ ბალეტმაისტერისა და ნიჭიერი მსახიობი მოცეკვავის ო. დივანიანის ერთობლივი შემოქმედებით თანხმიერებით არის შექმნილი უიმედოდ შეუვარებელი გიკოს სახე ბალეტში, საოცრად მეტყველი პლასტიკური ფრაზები მოცეკვავის „ულში კეთილისა და ბოროტის მძაფრ ჭიდილს გადმოგვცემს. ბალეტმაისტერი ზომიერად ერომანტიკის ელემენტის გამმასახველი ნიუანსების ნოვატორულ პლასტიკას და ეროვნული მოძრაობის ხასიათს. გულითადი ხალხური იუმორით არის აღსავსე ნუნეს — მ. გიურჯიანის, კარმენის — ს. პეტროსიანის ტექნიკურად მკაფიო, კისკასა ცეკვა ქალთა და ვაჟთა კორდებალეტთან ერთად. ბალეტმაისტერი არ მოერიდა მათს კომპოზიციებში ჩვენი მთიულური ილეთების მოდერნიზაციას, რომლებიც მათ სომხური სინკოპური რიტმით დიდი წარმატებებით შეასრულეს და მაყურებლის ოვაციები დაიმსახურეს. აქვე უნდა აღინიშნოს ჩვენი სტუმრების სპექტაკლის მაღალი სასცენო კულტურა, კორდებალეტის ტექნიკური დონის ერთიანობა, შესრულების სინქრონულობა, ასე რომ სიამოვნებს მაყურებლის თვალს.

დიდი შთაბეჭდილება დატოვა ორკესტრმა, რომელსაც სომხეთის სსრ სახალხო არტისტი ა. ვოსკანიანი დირიჟორობდა. ორკესტრში ჟღერდა ა. ხაჩატურიანის ბრწყინვალე პარტიტურის ჰარმონიული, მღერადი მელოდიურობა, წარმტაცი საცეკვაო რიტმები, რასაც შესანიშნავად ესადაგება სომხეთის სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, დამსახურებული მხატვრის ვ. ავეტისიანის გამიზნულად მკაფიე ფერწერული მანერით გადაწყვეტილი დეკორაციები. სტუმრების სპექტაკლმა გაგვახარა თავისი ეროვნული სიმღიდრით, ოქროს ფონდის სპექტაკლისადმი სათუთი დამოკიდებულებით.

საერთოდ, სომეზმა მსახიობებმა ამ წარმოდგენით კიდევ ერთხელ დაგვარწმუნეს, რომ მაღალი საშემსრულებლო ხელოვნების შედეგად მიღწეულ წარმატებას მტკიცედ იცავენ თაობიდან თაობაში.

ნონა გუნია.

ხურათზე: მარცხნივ — სომხეთის სსრ სახალხო არტისტი ე. მნაცაკანიანი გაიანეს როლში; მარჯვნივ — სპექტაკლის ერთი სცენა.

ჯ. ლომაძის ფოტო.

მეორე დიპლომი: გასაკური ენის გასწავლებელი

ამიერიდან თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულები თვითანთი ძირითადი სპეციალობის დიპლომთან ერთად მიიღებენ მეორე დიპლომსაც „ბასკური ენის მასწავლებლის საზოგადოებრივი პროფესია“. ბილბაოს შემდეგ თბილისი მსოფლიოში მეორე ქალაქია, რომელიც ბასკური ენის მასწავლებლებს მოამზადებს ჩვენს სამუალო სკოლას.

ბასკური ენის შესწავლასა და ბასკოლოგიურ კვლევა-ძიებას საქართველოში ამ ათიოდე წლის წინათ დაედო სათავე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ს აკადემიკოს შ. ძიძიგურისა და ცნობილი საბჭოთა ბასკოლოგის ი. ზიცარის უშუალო ხელმძღვანელობით, და დღეს უკვე თამამად შეგვიძლია ვამაყნელოთ ბასკოლოგთა ეგრეთ წოდებული თბილისური სკოლის შესახებ.

რამდენიმე წლის წინათ ბასკური ენის შესწავლის სფერო კიდევ უფრო გაფართოვდა. თბილისს ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორის ე. მაღრაძის მხარდაჭერითა და საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის დეკანის რ. სარიშვილის უშუალო ინიციატივით საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის სასწავლო პროგრამაში შეტანილ იქნა ბასკური ენის კურსიც.

— ბასკური ენის შესწავლის მსურველი ინსტიტუტში ბევრი აღმოჩნდა, — გვეუბნება რ. სარიშვილი, — მაგრამ სრული კურსი მხოლოდ შვიდმა კაცმა დაასრულა. თუ გავითვალისწინებთ ბასკური ენის შესწავლის მთელ სირთულეს, ეს მაჩვენებელი არცთუ ურიგოა. ვფიქრობ, ეს წამოწყება უთუოდ სასიკეთო შედეგს მოგვიტანს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჩვენი დღევანდელი სტუდენტები პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგებიან რესპუბლიკის საშუალო სკოლებში. ბასკური ენის გარკვეული ცოდნა მათ საშუალებას მისცემს ამ ენითა და მისი მატარებელი ხალხის კულტურით დაინტერესებული ბავშვები სასწავლო წრეებში გააერთიანონ და, ამრიგად, ბასკური ენის პირველდაწყებით ელემენტებს აზიარონ ისინი. რა საკვირველია, წინასწარ ძნელია იმის თქმა, მიიღწევს თუ არა ბასკური ენის სწავლება ამ წარმატებას, რა წარმატებითაც აღმოსავლური ენები ისწავლება ჩვენს სკოლებში, მაგრამ ერთი რამ უდავოა: ჩვენი ყმაწვილების ამთავითვე დაინტერესებამ ბასკური ენით, შესაძლოა გარკვეული ნაყოფი გამოიღოს საქართველოში ბასკოლოგიური კვლევა-ძიების მომავლისათვის.

დ. ზედგინიძე.

კონტაქტები, თანამშრომლობა

მუშვიდობისა და მეგობრობის მისია

თბილისში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან მეგობრობის მატარებლით ჩამოვიდა გერმანელი კომუნისტების, სოციალ-დემოკრატებ ი ს, პროფკავშირული მოღვაწეებისა და მუშების დელეგაცია საარისა და რაინფალის ოლქებიდან. ისინი სტუმრად არიან ჩვენს ქვეყანაში საკავშირო პროფსაბჭოს მოწვევით.

სტუმრების სამკერდე ნიშნებსა და წითელ ბალსტუხს აწერია: „მშვიდობა, შრომა, სოლიდარობა“. ისინი გამოდიან მოწოდებით — „მშვიდობისა და სამუშაოსათვის“. თბილისში ყოფნისას გერმანელი სტუმრები დაათვალიერებენ საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს, მოიკითხავ საწარმოებსა და ინსტიტუტებს.

სურათზე: გერმანელი სტუმრები თბილისში.

ბ. კიკვიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სიფხიზლე ცხოვრების ნორმა უნდა იყოს

ავტომანქანის საჭეს რომ მთვრალი მძღოლი არ უნდა მიუჯდეს, ყველამ იცის. არც ემის უნდა მტკიცება, რომ კანონისა თუ წესის დარღვევა და უგულებელყოფა გარდაუვალად ისჯება და არავინ გაპატიებს, ეს ანბანური ჭეშმარიტება კარგად იცით ამათაც, ვისაც ამ წერილში გაგაცნობთ. მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი, — ისინი მაინც ჯიუტობენ და თავისას არ იშლიან.

სოხუმის „ტურისტის“ ავტობაზის მძღოლი თეიმურაზ კვიციანია, როგორც მისი მოქმედებიდან ჩანს, ბაზუსის მონაა. იგი რამდენიმე თვის წინ სიმთვრალისათვის ჩამოსვეს ავტომანქანის საჭედან და ღირსეულადაც დასაჯეს — ჩამოართვეს მართვის უფლება, მაგრამ სმას მაინც ვერ მიანება თავი, კვლავ თვრაფი მიუჯდა საჭეს. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და თ. კვიციანია სიმთვრალეში ავტომანქანის ხელმეორედ მართვისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს. თ. კვიციანიას ბედი ეწია მის თანაქალაქელს „ინტურისტის“ ავტომომსახურების თანამშრომელს, ლაკობას ქუჩაზე მცხოვრებ იგორ ლაქტიონოვს, რომელიც ასევე ხელმეორედ მთვრალი მართავდა საკუთარ ავტომანქანას.

ბათუმელ აკაკი ზოიძეს საზოგადოებრივი მდგომარეობა ვალდებულს ხდის და ავალებს თვითონ მოუწოდებდეს სხვებს წესრიგისათვის. იგი პარტიის წევრია და მუშაობს რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ბათუმის № 1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოში კოლონის უფროსად. ჰყავს საკუთარი გაზ-24 მარკის „ვოლგა“. ა. ზოიძეს ღვინის ტრფიალი იმდენად გასჯდომია, რომ გამოთვრა მეგობრებში და ასე მიუჯდა ავტომობილის საჭეს. ღამე იყო, მაგრამ ოცდათერთმეტი დეკემბრის ქუჩაზე, რეიდის მონაწილეებს არ გამოეპარათ მისი სიმთვრალე, რომელიც ექსპერტებმაც დაადასტურეს. ხელვაჩაურის გაზის მეურნეობის სამართველოს ავარიული სამსახურის თანამშრომელი რიზა ფუტკარაძეც პარტიის წევრია, მაგრამ არც იგი უფროხლდება კომუნისტის სახელს და სმას ეტანება. ხშირად თვრება და ავტომობილსაც მთვრალი მართავს. იგი საკუთარი „ჟიგულის“ საჭიდან სოფელ აგნისაში მთვრალი ჩამოსვეს.

ნახევარ საუკუნეს მიღწეული კაცია ახალქალაქის დამზადების კომბინატის შემსყიდველი, სოფელ არაკვას მკვიდრი რაფიკ გრიგორიანი. რა დისციპლინისა და წესიერების მაგალითებს მისცემს იგი ოჯახის წევრებს და თავისიანებს, როცა თვითონ მთვრალი მართავს საკუთარ „ჟიგულს“.

ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის მომარაგების უფროსს, კალინინის ქ. № 8-ში მცხოვრებ ზარაბ ჯოიევს ბოლო მოდიფიკაციის „ჟიგული“ ჰყავს, რომელსაც ზშირად მთვრალი დააქროლებს. ნათქვამია, კოკა წყალს ყოველთვის ვერ მოიტანსო, და ზარაბსაც ასე დაემართა. რეიდის მონაწილეებმა მთვრალი შენიშნეს ავტომობილის საჭესთან და ოქმიც შეადგინეს. ლენინგორის რაიონის სოფელ აბრევში მცხოვრები დიანოზ გაბიევი პროფესიით პედაგოგია, მაგრამ რა წარმოდგენა ექნებათ მის პროფესიონალიზმზე სოფელ ორჯონიკის საშუალო სკოლის მოსწავლეებს, როცა მასწავლებელი სმას ეძალება და მთვრალი დააქროლებს საკუთარ ავტომობილს.

არავინ იცის, სად დათვრა წყალტუბოს ზონის სოფელ მაღლაკის ლენინის სახელობის საშუალო მეურნეობის მექანიზატორი ექვთიმე გოგისვანიძე, მაგრამ ის კი ყველასათვის გახდა ცხობილი, რომ საშუალო მეურნეობის უნიმარო ტრაქტორს მთვრალი მიუჯდა და სოფლის ქუჩებში დაახროგინებდა.

ლოთებსა და წესრიგის დამრღვევებს სათანადოს მიუზღავენ და ჩამოაშორებენ ავტომობილის საჭეს, მაგრამ ხომ უნდა გამოეხმაურონ ამას ის კოლექტივები, სადაც ლოთი მძღოლები მუშაობენ.

სარეიდო გრიგალა.

ყაბალი

სატურნირო ორბიტა

ფეხბალური. გუშინ თბილისში დამთავრდა სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო ასპარეზობათა პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება. წინა დღეს გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრები და მატჩი V ადგილისათვის. სამხრეთის ზონისა და საქართველოს ნაკრები გუნდების ნახევარფინალური შეხვედრის ძირითადი დრო დამთავრდა ანგარიშით 8:8. დამატებით დროშიც ფრე აღინიშნა — 1:1. ამის შემდეგ დაინიშნა 4-მეტრიანი საჯარიმო დარტყმების სერია და საბოლოო გამარჯვება წილად ხვდა სამხრეთის ზონის ნაკრებს — 14:13. რუსეთის ფედერაციის გუნდისა და პროფკავშირების მეორე ნაკრების ნახევარფინალური მატჩი დამთავრდა პროფკავშირების წარმომადგენელთა გამარჯვებით — 7:6. V ადგილისათვის მატჩში „დინამომ“ დაამარცხა პროფკავშირების I ნაკრები — 8:6. გუშინ კი მოეწყო ბოლო, გადამწყვეტი შეხვედრები. გთავაზობთ შედეგებს: **მატჩი III ადგილისათვის.** საქართველო-რსფსრ — პენალტების სერიით 12:10 (ძირითადი დრო — 5:5, დამატებითი — 1:1); **შეხვედრა I ადგილისათვის.** სამხრეთის ზონა-პროფკავშირები II — 9:6.

ბადრაკი. ესპანეთის ქალაქ ბილბაოში გრძელდება ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე და უნგრელი ფუჭა პოლგარიც მონაწილეობენ. მეშვიდე ტურში კარპოვმა დაამარცხა ესპანელი ოჩოა, ჩიბურდანიძემ — იუგოსლავი დიდოსტატი ლუბოევიჩი. აქვე შეენიშნავთ, რომ რეიტინგით ლუბოევიჩი მსოფლოს საუკეთესო მოჭადრაკეთა შორის მეექვსე ადგილზეა. ა. სოკოლოვისა და პოლგარის პარტია ყაიმით დასრულდა. ესპანელმა ილიესასმა წააგო შეხვედრა თანამემამულე ფერნანდესთან, იესტამ (ესპანეთი) — უ. ანდერსონთან (შვეიცარია). 7 ტურის შემდეგ კარპოვს 6 ქულა აქვს, ანდერსონს — 5, ჩიბურდანიძეს — 4,5, ლუბოევიჩს — 4, სოკოლოვს — 3,5 ქულა.

ფეხბურთი. გაიმართა საკავშირო თასის გათამაშების ოცდამეთორმეტედფინალური მატჩები. გთავაზობთ იმ შეხვედრების შედეგებს, რომლებშიც ჩვენი რესპუბლიკის გუნდებმა მიიღეს მონაწილეობა: ვოლგოგრადის „როტორი“-ფოთის „კოლხეთი“ — 2:1, მოსკოვის „კრასნაია პრესნია“-ქუთაისის „ტორპედო“ — 1:0, ორჯონიკიძის „სპარტაკი“-სოხუმის „დინამო“ — 1:3. ამრიგად, სოხუმის „დინამო“ მეთექვსმეტედფინალში ითამაშებს. ამ ეტაპზე გუნდები ერთმანეთს ორ-ორჯერ შეხვდებიან — შინ და სტუმრად.

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

ორშაბათი, 29 ივნისი

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — საფეხბურთო მიმოხილვა (მ.). 9.55 — მოამბე. 10.30 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვ ი ს „ცისკარა“ — ქართული მხატვრული ფილმი „ჩვენი ეზო“. 12.00— შემეცნებითი-გასართობი პროგრამა ახალგაზრდობისათვის (განმეორებით). 12.45 — საინფორმაციო გამოშვება. 15.05 — ეკონომიკის კურსი. 15.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ცხოვრების წვრილმანები“. 16.05 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ფიზიკაში. 16.35 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი მათემატიკაში. 17.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კამარობა“. 17.35 — ხალხური შემოქმედება. „დაიბეჭდა ილიას ვიზითი“. 18.10 — მეცნიერთა სატელევიზიო კლუბი. 18.45 — დეპუტატი და ცხოვრება. წალენჯიხის რაიონი. 19.15 — საერთაშორისო დღიური. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — ბვეკსაუბრებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები (მ.). 20.15 — მოამბე. 20.50 — — უწვენებს სატელევიზიო თეატრი: მ. დოლიძის „მდგმურები“. (საქართველოს ტელევიზიის დადგმა). 21.50 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — სპორტული გადაცემა „მეექსიკა-86“.

მეორე პროგრამა. 16.45 — მრავალსერიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ჩრდილები შუადღისას ქრებიან“. I სერია. 18.05 — ქართული დოკუმენტური ფილმი „საქართველოსაც ეცვა ბეჭთარი“. 18.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ანგარსკის მეოთხე“. 20.15 — მოამბე. 20.50 — მხატვრული ფილმი „თამაშის დასაწყისში“.

სამშაბათი, 30 ივნისი

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — მოამბე. 9.40 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვ ი ს „ცისკარა“ — ჩეხოსლოვაკიური მხატვრული ფილმი „კლიაქსა“ ზლაპარში“. 10.50 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 11.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შეხვედრები არქტიკაში“. 12.10 — ლიტერატურული გადაცემა „მე პოეზია ნატვრა მეოხნა“. კ. ჭიჭინაძე (განმეორებით). 12.55 — საინფორმაციო გამოშვება. 15.05 — ქართული ენის ტელეკურსი. 15.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მამულიშვილი“. 15.55 — აბიტურიენტთათვის. ბიოლოგია. 16.25 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.35 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.45 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 17.15 — „35-ე საფეხბურთო სკოლაში“. 18.05 — მოგონებები ლადო კავსაძეზე. 19.05 — გამოკითხული ბინები (განმეორებით). 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — „ბვეკსაუბრებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები“ (მ.). 20.15 — მოამბე. 20.50 — სახალხო კონტროლის ეკრანი. 21.25 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. სატელევიზიო მუსიკალური ფილმების ფესტივალი. ფილმ-კონცერტი „ალექსი მაჭავარიანი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ჩვენი საუკუნე გიაცეს უახლესი. 22.45 — მუსიკალური ფოსტა. 23.50 — სატელევიზიო ჩანახატი „ზამთრის მოგონება“.

მეორე პროგრამა. 16.35 — მრავალსერიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ჩრდილები შუადღისას ქრებიან“. II და III სერია. 19.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ის ხარ, რაც იცი“. 19.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 20.00 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შნო“. 20.15 — მოამბე. 20.50 — სატელევიზიო დადგმა „მტრები“. I-ლი ნაწილი.

პირველი პროგრამა. 16.30 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.40 — მათემატიკის ტელეკურსი. 17.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 17.20 — განცხადებები. 17.25 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. „როგორ ავაშენოთ სახლი“. 17.50 — „ექო“. 18.25 — „მშვიდობით, სკოლავ!“ 19.25 — მოამბე. 20.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო“ — ვილნიუსის „ჟალგირისი“. რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან. 21.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მსაჯი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „მეფე ლირი“. რუსთაველის სახელობის თეატრი.

მეორე პროგრამა. 16.50 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ჩრდილები შუადღისას ქრებიან“. IV სერია. 18.05 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ნოდარ დუმბაძე“. 18.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ღია კარი“. 19.25 — მოამბე. 20.00 — სატელევიზიო დადგმა „მტრები“. მე-2 ნაწილი.

ხუთშაბათი, 2 ივნისი

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — მოამბე. 9.40 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვ ი ს „ცისკარა“ — მხატვრული ფილმი „მარია მირაბელა“. 11.00 — საესტრადო პანორამა (განმეორებით). 11.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „უფლება დაპლომზე“. 12.15 — საინფორმაციო გამოშვება. 15.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „იგორ გორბაჩოვი“. 16.35 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 17.25 — განცხადებები. 17.30 — მულტიპლიკაციური ფილმი. 17.40 — მოსწავლეთათვის. „ჩვენი პრესკონფერენცია“. 18.30 — წერილის დღე. 18.35 — „შუქნიშანი“. ბავშვთა ტრავმატიზმი. 19.05 — საუბრები არქეოლოგიაზე. 19.35 — წერილის დღე. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მოამბე. 20.35 — ახალგაზრდობისათვის. 1+1 (გადაცემა მესამე). 21.20 — ხალხური შემოქმედება. „სამოჯნურო“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „იურმალა-87“. საესტრადო სიმღერების ახალგაზრდა შემსრულებელთა მეორე საკავშირო კონკურსის მე-2 ტური. გადმოცემა იურმალიდან (მ.).

მეორე პროგრამა. 17.05 — მრავალსერიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ჩრდილები შუადღისას ქრებიან“. III სერია. 18.10 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე“. 18.20 — დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა კავშირის ბიოსფერული ნაკრძალები“. 18.50 — განცხადებები. 18.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ილინსკი ზოშჩენკოს შესახებ“. 20.00 — მოამბე. 20.35 — სატელევიზიო დადგმა „ვასილ ტიორკინი“. პირველი ნაწილი.

პარასკევი, 3 ივნისი

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — მოამბე. 9.40 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვ ი ს „ცისკარა“ — მხატვრული ფილმი „არც დაგსაზმრებიათ“. 11.10 — საესტრადო კონცერტი ანსამბლ „დროის მანქანის“ მონაწილეობით (განმეორებით). 12.20 — საინფორმაციო გამოშვება. 15.05 — ფიზიკის ტელეკურსი. 15.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „36 სიხარული“. 16.35 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ